ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ!

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდის სამშაბათს და შაბათს
№34 (1544) 8–12 აპრილი, 1997 წელი



**მინისტრი ყვება: როდესაც ჯაბა ახლადდაპატიმრებული იყო, გიგა გელაშვილს შეაგინა. ყველას გაუკვირდა მისგან გიგა გელაშვილის შეგინება და როცა ჰკითხეს, როდის აქეთ მოიძულე იგიო, უპასუხა: „მთელი ხე-ტყე ბორჯომიდან საზღვარგარეთ გაზიდა, აქ ვერ მოიტანა და პარკეტი აქ ვერ დააგო, არ იცოდა, რომ ჩვენი ბოლო აქ იყოო?..**

**იხილეთ მეორე გვერდზე**

## ოსტაპ ბენდერი ანგელოსია ჩვენს თანამდებობიან თაღლითებთან შედარებით, ანუ რას ამბობენ „ბოროტი“ ენები?

მივიწყებას მიეცა ეროვნული უბედურების სიმბოლო – ქართული კუპონი. თუმცა, მას ვერ დაივიწყებს საქართველოს დაკვეთით კუპონის გამომშვები ინგლისური კომპანია DELARUE.

ამას ორი საფუძვლიანი მიზეზი გააჩნია: პირველი – დაბეჭდილი წვრილი კუპიურების ნაწილს დღემდე მტვერი ედება ლონდონში. მეორე – და მთავარი – დღემდე არაა გადახდილი 100 ათასიანი კუპიურების პარტიის ფული. ქართულ მხარეს მისი დამზადებისათვის 1,5 მილიონი დოლარი უნდა გადაეხადა.

ეს როგორ? – იკითხავს გულუბრყვილო ადამიანი. – ჩვეულებრივად – მსგავსი ისტორიები საქართველოს მაღალი რანგის თანამდებობის პირების უმრავლესობას ახასიათებს.

ერთმა მოხერხებულმა ბიზნესმენმა ამირან ქადაგიშვილმა, რომელიც რამდენიმე თვის განმავლობაში სარგებლობდა ვიცე-პრემიერის თანამდებობით 1993 წელს, მოასწრო კავკასიის ბირჟის შექმნა და სავალუტო ოპერაციების ჩატარება. როგორც DELARUE-ის წარმომადგენლები ამტკიცებენ, სწორედ ქადაგიშვილის სახელით გააგზავნა მისმა თანაშემწემ ლონდონში დეპეშა 100 ათასიანი კუპიურების დამატებითი პარტიის დაბეჭდვის მოთხოვნით. შეკვეთა შესრულდა და კუპონი საქართველოში გამოიგზავნა.

მას შემდეგ ეს კუპონი არავის უნახავს. ბუნებრივია – თავად ამირან ქადაგიშვილის გარდა. ბოროტი ენები ამბობენ, რომ ეს კუპონი კავკასიის ბირჟაზე გაუშვეს ბრუნვაში და დოლარებად გადააქციეს.

მხოლოდ ინგლისურ კომპანიას ახსოვს, რომ შეკვეთის თანხა გადასახდელია. თუმცა ამ საკითხის გასაჩივრება მას არ შეუძლია. ავტორიტეტულმა კომპანიამ გულუბრყვილობა გამოავლინა, როცა საქართველოს მთავრობის დეპეშას დაუჯერა და კონტრაქტის გაუფორმებლად დაბეჭდა და გამოაგზავნა კუპონის ახალი პარტია.

DELARUE დაისაჯა თავისი გულუბრყვილობის გამო. ისინი როგორღა არიან, ვინც ხალხის ფული ჩაიჯიბა?

არა უშავთ რა. ამირან ქადაგიშვილმა წარმატებით დატოვა ვიცე-პრემიერის თანამდებობა, ხოლო ფინანსთა მინისტრს დავით იაკობიძეს, კვლავაც წარმატებით უკავია ფინანსთა მინისტრის თანამდებობა. თუმცა, მას უნდა სცოდნოდა საქართველოს მთავრობის ყალბი დაკვეთის შესახებ, რადგან მაშინაც იგივე პოსტი ეკავა.

მას არ შეეძლო არ სცოდნოდა ამის შესახებ კიდევ იმის გამო, რომ ქადაგიშვილთან ძველი მეგობრობის გარდა ერთობლივი მუშაობაც აკავშირებდა კავკასიის ბირჟის, და არა მარტო ამ ორგანიზაციის დაფუძნებაში.

და მაინც – მოუწევს თუ არა საქართველოს 1,5 მილიონი დოლარის გადახდა?

ეს ჯერ არავინ იცის.

მაგრამ ერთი რამ სავსებით გასაგებია – ხალხის ჯიბეს არ უნდა ეხებოდეს მთავრობის მაქინაციები.

ინგა დადიანი

## ასლან აბაშიძეს სტენოკარდიული შეტევა გადაიტანა

სააგენტო „აღორძინებამ“ აჭარის უმაღლესი საბჭოს პრეს-ცენტრზე დაყრდნობით გაავრცელა ცნობა იმის შესახებ, რომ აჭარის ხელმძღვანელმა ასლან აბაშიძემ სტენოკარდიული შეტევა მიიღო. ექიმების აზრით, შეტევა განვითარდა გრიპოზული მდგომარეობისა და დაძაბული მუშაობის საფუძველზე. დღეისათვის ასლან აბაშიძის ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. (ბი ჯი აი)

## „ისევ დედაქალაქმა და არა პოლიციამ საკადრისი პასუხი უნდა გასცეს მათ?!...“

გუშინ, პროგრამა „მაცნეში“ ამ სიტყვებით დაასრულა დიქტორმა მოწოდება 9 აპრილს მოსალოდნელი მიტინგების არათბილისელ მონაწილეთა საწინააღმდეგოდ. ისიც არ დაავიწყდა, რომ 9 აპრილს თბილისმა გაიღო ყველაზე დიდი მსხვერპლი და რომ 9 აპრილიც სწორედ თბილისელებმა აღნიშნონ (?!) მიტინგებითა თუ ღამის თევით, თუ მაინცადამაინც ეს საჭიროაო...

მოკლედ, პოლიციელები რომ არ დაუპირისპირდნენ მოქალაქეებს, მოდით, ისევ მოქალაქეებმა ვასწავლოთ ერთმანეთს ჭკუაო, ანუ ისევ სამოქალაქო დაპირისპირებისაკენ მოგვიწოდებს პატივცემული დიქტორი. რაც მთავარია, 9 აპრილთან დაკავშირებული გრძნობებიც „პრივატიზებული“ გამხდარა მხოლოდ თბილისელთათვის... თუმცა, დიქტორს რას ვერჩით, იმის ტვინში ჩაგვახედა, ვინც ასეთ ტექსტებს წერს და მერე იმის ტვინში, ვინც ამ ტექსტების გაშვებას ეთერში ვიზას აძლევს...

ასე ხელოვნურად შეიძლება ხალხის ერთმანეთთან დაპირისპირება?!

ნ.ბრიგალაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვინ ვინ არის

მასალები საქართველოს ისტორიის მომავალი მემატიანისათვის

*საუბრობენ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი* ***კახა თარგამაძე*** *და გაზეთ „საქართველოს“ მთავარი რედაქტორი* ***ნოდარ გრიგალაშვილი***

## კახა თარგამაძე: გიგა გელაშვილს ხელში აღმოაჩნდა ბრიტვა და არ დაემორჩილა ზედამხედველებს...

კთ – მინდა გაიხსენო ჯ.იოსელიანის ერთი ხუმრობა: როდესაც ჯაბა ახლადდაპატიმრებული იყო, გოგა გელაშვილს შეაგინა. ყველას გაუკვირდა მისგან გოგა გელაშვილის შეგინება და როცა ჰკითხეს, როდის აქეთ მოიძულე იგიო, უპასუხა: „მთელი ხე-ტყე, ბორჯომიდან საზღვარგარეთ გაზიდა, აქ ვერ მოიტანა და პარკეტი აქ ვერ დააგო, არ იცოდა, რომ ჩვენი ბოლო აქ იყოო?.. ისეთ ხუმრობას რა ჯობს, შიგ სიმართლეც რომ არ ურევიაო. აი, ამ შემთხვევაზეა ზედგამოჭრილი. მათ კარგად იციან სად სხედან და რისთვის...

*ნგ. – ბ-ნო კახა, საზოგადოებამ იცის, როგორ მოკლეს გია ჭანტურია, მაგრამ ეს ხალხი, რომლებიც ახლა თქვენს ხელთ არიან, რას ამბობენ, რატომ მოკალითო ეს კაცი. კი ბატონო, ფაქტს აღიარებენ, ყვებიან როგორ დაცხრილეს, მაგრამ იმას თუ ამბობენ, რატომ?..*

– როგორც მოგახსენეთ, უშუალო შემსრულებლები არიან რობოტები, ისინი მე ხალხადაც არ მიმაჩნია. პირდაპირ გეტყვით, კაცმა, რომელიც ასეთ ტერორზე მიდიოდა, არ იცოდა, რატომ კლავდა და რისთვის. წარმოიდგინეთ იმ ხალხის დონე, რომელთაც ერთმანეთში ჩხუბი მოუვიდათ იმისათვის, ბორჯომში რომ წახვედით საქმეზე (მკვლელობისთვის), მე რატომ არ წამიყვანეთო, აი, ამაზე დაობდა ეს ხალხი ერთმანეთში. ამ ბნელებს პირდებოდნენ, ალბათ, რომ მოვალთ ხელისუფლების სათავეში და ჩვენ ყველა ხელმძღვანელები გავხდებითო...

*ნგ. – ეს გასაგებია, მაგრამ თქვენ მათი პატრონებიც დაჭერილი გყავთ და არ ეკითხებით, თუ რატომ მოკლეს?*

კთ. – რა თქმა უნდა, ვეკითხებით, მაგრამ მათ არ უნდათ ყველაფრის გახსნა. მათ გონიათ, რომ ამით გარკვეულ პასუხისმგებლობას თავს დააღწევენ. მთავარია ვინ გააკეთა ეს საქმე, ვინ იყო ამ საქმის ორგანიზატორი. მე თქვენ მოგახსენეთ, ეს შემსრულებლები რა დონის ხალხიც არიან. გ.ჭანტურიას მკვლელობის მოტივი, რა თქმა უნდა, იგივე იყო, რაც პოლიტიკური მოღვაწის მკვლელობის მოტივი. ის გახსნილად, ყოველგვარი მორიდების გარეშე ებრძოდა მხედრიონს, ებრძოდა უშიშროების მინისტრს, ებრძოდა ჯაბა იოსელიანს, ამხელდა მას. ის პოლიტიკური ფიგურა იყო. ამიტომაც იფიქრეს, რომ ჩამოეცილებინათ კონკურენტი. მოგეხსენებათ, ისინი თავიდან იცილებდნენ ყველა იმას, ვისაც პოლიტიკური თუ სხვა სერიოზული ავტორიტეტი გააჩნდა საქართველოში. გარდა ამისა, იყო სხვა მოტივებიც, რომელზედაც საუბარი ახლა ნაჩქარევად მიმაჩნია, რამეთუ ამის მტკიცებულება იმ პირების მიმართ, რომელთაც ეს ჩაიდინეს, ჯერჯერობით არა გვაქვს, მაგრამ არის გადამოწმებული ოპერატიული ინფორმაციებით, თუ რა მოტივებზე იყო აგებული ეს მკვლელობა...

ტერორისტული აქტები მოხდა არა მარტო მოსახლეობის დასაშინებლად, არამედ იგივე პოლიციის დასაშინებლად, იგივე პროკურატურის დასაშინებლად და კიდევაც მიაღწიეს ამას. თვითონ პოლიცია და პროკურატურა ტერორიზებული ჰყავდა ამ ხალხს. მე მყავს მხედველობაში მხედრიონი. მათ შეეძლოთ ემოქმედათ, გაეკეთებინათ ყველაფერი როგორც უნდოდათ, მოეკლათ ვინც უნდოდათ და უკვე შიშმა დაისადგურა, რა თქმა უნდა, მოსახლეობაში და ყველაზე საშინელი ისაა, რომ შიშმა დაისადგურა ადმინისტრაციულ ორგანოებში.

ამის შემდგომ, რა თქმა უნდა, მათი გათვლით ტერორის ობიექტი უნდა ყოფილიყო სახელმწიფოს მეთაური. ოპერატიული ინფორმაციები მეტყველებდა ამის შესახებ. ჩვენს ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ვერ მოვახდინეთ თავიდან აცილება ფაქტისა. იმ მომენტში ჩვენ უკვე ვმუშაობდით, ძალიან ვჩქარობდით, მაგრამ თვითონაც გაგვიგეს და ისინიც ძალიან ჩქარობდნენ და დაგვასწრეს 29 აგვისტოს ტერაქტი. რა მოხდებოდა ამის შემდგომ, ეს რომ განხორციელებულიყო? არ გამიგოთ ისე, რომ ჩემი ლაპარაკით ან მოსახლეობის, ან პრეზიდენტის დივიდენდები მსურდეს მოვიპოვო, მაგრამ ვიმეორებ, ღმერთმა დაგვიფარა, რომ ეს ვერ განხორციელდა. რომ განხორციელებულიყო, ისინი ყველა ხერხებით ეცდებოდნენ ასევე სხვების, ყველა იმ ხალხის მოშორებას, ვინც ხელს უშლიდათ მიზნის განხორციელებაში. ელემენტარულად, იქნებოდა ლიკვიდაციები, იქნებოდა ზღვა სისხლი. სხვათა შორის, ერთი რამეც მინდა გითხრათ როდესაც ბორჯომის „საქმე“ გასრულდა, ჩვენ პრეზიდენტთან (მაშინ სახელმწიფოს მეთაური ბრძანდებოდა) მიგვიყვანეს და ტელევიზიით აჩვენეს დაჯილდოება იმ თანამშრომლების, ვინც გახსნა ბორჯომის „საქმე“, უშუალო ხელმძღვანელები ვინც იყვნენ ამ „საქმის“ გახსნისა. ბორჯომის „საქმეში“ რამოდენიმე ისეთი პიროვნება მონაწილეობდა, რომელნიც მანამდეც და შემდგომაც სხვა ტერაქტებშიც მონაწილეობდნენ. ეს იყო მათთვის ძალიან სერიოზული დარტყმის მიყენება და აი, ჩვენ ვნახეთ მათი ვიდეოკასეტა, რომელზეც დაჯილდოებულ ჩვენს თანამშრომლებს ჯვარი ჰქონდათ გადასმული... ეს იმას ნიშნავდა, რომ ლიკვიდაცია უნდა მომხდარიყო იმ ხალხის, ვისაც შეეძლო ასეთი კატეგორიის საქმეებზე ემუშავა... ვისაც შეიძლებოდა გამბედაობა ჰქონოდა მხედრიონის და სხვა ძალების წინააღმდეგ ბრძოლისა. ისიც უნდა ვთქვათ, რომ, ალბათ, უკეთესი იქნებოდა, თუ დროზე მოვახდენდით გარკვეული საქმეების გამო ამ პირების დაპატიმრებას. აი, ვთქვათ, იგივე ხაჩიშვილი, იგივე გელაშვილი, მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, ვერ მოვასწარით დროში იმ მტკიცებულებების მოპოვება. ჩვენ ვმოქმედებდით კანონით და კანონით როდესაც მოქმედებს ადამიანი, ყოველთვის ხელ-ფეხი უფრო გაქვს შეკრული, ვიდრე იმ ხალხს, რომელთაც კანონი არ ამუხრუჭებთ. ისევ დავუბრუნდები იმ საკითხს, რას აპირებდნენ: უნდა შეეკრიბათ პარლამენტი, რა თქმა უნდა, ზემოქმედების ქვეშ ეყოლებოდათ. უნდა ჩამოეყალიბებინათ სპეციალური საბჭო, რომელშიც ვინც არ უნდა შეეყვანათ, მათი მართვის ქვეშ იქნებოდა. ჰქონდათ დიდი სურვილი, ეს უკვე გიორგაძის დიდი ხნის სურვილი იყო, მოსულიყო სახელმწიფოს სათავეში.

*ნგ. – თვითონ გიორგაძე უნდა მოსულიყო თუ გიორგაძეს სხვა უნდა მოეყვანა?*

კთ. – ჩვენთვის ცნობილი ინფორმაციებით, გიორგაძე არ თმობდა ამ პოზიციას. იყო ისეთი ვარიანტიც, რაც თქვენ ბრძანეთ, მაგრამ გიორგაძე პიროვნულად არ თმობდა ამ პოზიციას და ცდილობდა იმას, რომ თვითონ ყოფილიყო სახელმწიფოს ხელმძღვანელი და, სხვათა შორის, დარწმუნებულიც იყო იმაში, რომ მისი დონე ძალიან მაღალი იყო და შეეძლო სახელმწიფოს ხელმძღვანელობა... დღეს, ალბათ, ვიქნებოდით სხვა სახელმწიფოსთან შეერთებული...

*ნგ. – ბ-ნო კახა, ამჟამად სად სხედან ის პატიმრები, სად არიან ტერიტორიულად, თუ საიდუმლო არ არის?*

კთ. – ძირითადად ის ხალხი, ვისზედაც ჩვენ გავამახვილეთ ყურადღება, ჯ.იოსელიანი, გიგა გელაშვილი, თემურ ხაჩიშვილი და დანარჩენი პირები, ტერაქტში ვინც მონაწილეობდნენ, არიან №5 საგამოძიებლო იზოლატორში, რომელიც იმყოფება შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობის შიგნით.

*ნგ. – ე.ი. თქვენგან სულ რამდენიმე მეტრის დაცილებით?*

კთ. – დიახ, აქ არის ჩვეულებრივი საგამომძიებლო იზოლატორი. არავითარი, ვთქვათ, განსხვავებული პირობები. ვრცელდება ხმა, თითქოს ეს სპეციალური იზოლატორია, არავითარი სპეციალური იზოლატორი, იგი ჩვეულებრივი საგამომძიებო იზოლატორია, რომელშიც პრაქტიკულად ყველა საკითხები მოწესრიგებულია. მხედველობაში მაქვს პატიმრების კვების, ყოფაცხოვრების საკითხი. გარდა ამისა, განსაკუთრებულად დაცულიც არის ეს იზოლატორი, გაუგებრობებისა და შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით.

*ნგ. – მაინცდამაინც მთლად კარგად დაცული არ უნდა იყოს, ვინაიდან ხმები გავრცელდა საზოგადოებაში, რომ გოგა გელაშვილი გაქცევას აპირებდა იზოლატორიდან და საქმე, როგორც იტყვიან, წკიპზე იყო. რომ მხოლოდ ბოლო მომენტში იქნა დაკავებული, თორემ შეიძლებოდა გაქცეულიყო...*

კთ. – ასეთი ჭორი მართლაც იყო, ხოლო ჭორის აგორება გამოიწვია იმან, რომ მან მართლაც მოახდინა მცდელობა იმისა, რომ არ დამორჩილებოდა ზედამხედველებს. უფრო მეტიც, მას ხელში აღმოაჩნდა ბრიტვა. ეტყობა, ამანათების მიღების დროს მოახერხა მან ბრიტვის მიღება და ის ცდილობდა დაეშინებინა ზედამხედველები. შემატყობინეს. ჩავედი მაშინვე იზოლატორში, მე მგონი, თემურ მურღულია

გაგრძელება მე-3 გვ.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საქართველო“ №31,32,33.



ომში წასვლა მას უხარის...



დაბრუნება და შინ მოსვლა...

მეორე გვერდიდან

იყო მაშინ ჩემთან. ჩვენ ვთხოვეთ, რომ ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე ბრიტვა გადაეგდო. მან წინააღმდეგობა აღარ გაგვიწია. იგი მოთავსებული იქნა საკანში, იქ, სადაც უნდა ყოფილიყო. ჰქონდა გაქცევის მცდელობა? როცა გამოყავდათ სასეირნოდ, აი, ამ მომენტში, მან მოახერხა ერთი კიბის საფეხურების არბენა, მაგრამ სხვათა შორის, იმ კიბის საფეხურის ზემოთ არის ოთხი ზღუდე, ასე ვეძახით ჩვენ და ელემენტარულად ის კარი დაკეტილი იყო ზემოდან. იქ გაქცევა შეუძლებელი გახლდათ. ასე რომ, ვერც იქით წავიდოდა და ვერც აქეთ. იქ „სასეირნო" ადგილები შემოღობილია, და ეს შემთხვევა სართულსა და სართულს შუა მოხდა. ერთი სიტყვით, გაქცევა იქ შეუძლებელი იყო. გოგა გელაშვილს ამითი უნდოდა, რომ მისი მოთხოვნები დაგვეკმაყოფილებინა. ჩვენ მართლაც დავაკმაყოფილეთ მისი მოთხოვნა. შევახვედრეთ ადამიანის უფლებების დაცვის წარმომადგენელს, მისთვის არავითარი პრობლემა ამ მოთხოვნებში არ შეგვიქმნია. ის აცხადებდა, თითქოს შიმშილობს, შემდეგ ქალბატონ ელენე თევდორაძეს შეხვდა, ასევე წითელი ჯვარი შეხვდა და აღმოჩნდა, რომ განსაკუთრებული და სერიოზული პრეტენზიები არ ჰქონია. რა თქმა უნდა, გოგა გელაშვილი და დანაშაულში ეჭვმიტანილი პირები ხშირად ცდილობენ, რომ ისეთი პრეტენზიები წამოაყენონ, რისი შესრულებაც არ შეიძლება.

*ნ.გ. – კონკრეტულად რა იგულისხმება ასეთ მოთხოვნად?*

კთ – აი, მაგალითად, მოიყვანეთ პრესა, მოგვეცით ტელევიზია და სხვა საკითხები. ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ, რისი დაკმაყოფილებაც შეიძლება, რომ დავაკმაყოფილოთ, მაგრამ როდესაც საგამოძიებო მოქმედების გახმაურება არ არის მიზანშეწონილი, საქმის ინტერესებიდან გამომდინარე ამის გაკეთება უკვე ჩვენთვის კანონის მიხედვით აკრძალულია.

*ნ.გ. – პრეზიდენტთან შეხვედრა თუ უთხოვია რომელიმე მათგანს?*

კთ. – პრეზიდენტთან შეხვედრა გოგა გელაშვილმა, რა თქმა უნდა, ვერ ითხოვა, იმდენად, რამდენადაც ეს განუხორციელებელი სურვილი იქნებოდა, მაგრამ წერილები და განცხადებები პრეზიდენტის სახელზე ჰქონდა და ჩვენ ის განცხადებები, ცხადია, პრეზიდენტთან მივიტანეთ. ეს იყო აღიარებითი განცხადებები, რომლებშიც ის ითხოვდა პრეზიდენტისაგან, მაქსიმალურად შეემსუბუქებინათ მისთვის სასჯელი. სხვათა შორის, მან ძალიან კარგად ჩამოაყალიბა თავისი სათქმელი. თხოვდა პრეზიდენტს, რომ უფლებები მაქსიმალურად გამოეყენებინა სასჯელის განსაზღვრის დროს, რადგან თავად ყველანაირად შეუწყო ხელი გამოძიებას (რა თქმა უნდა, ყველაფერი მას არ უთქვამს, მაგრამ მაინც ყველაფერი მაქსიმალურად ცნობილი გახდა გამოძიებისათვის). ეს კანონით გათვალისწინებულია და კანონით გათვალისწინებულ ამ საკითხებზე ყველა პიროვნების და არა მარტო გოგა გელაშვილის მიმართ, ვინც დაეხმარა გამოძიებას, ალბათ, სასამართლო იმსჯელებს...

*ნ.გ. – ჯაბა იოსელიანს არასოდეს უთხოვია პრეზიდენტთან შეხვედრა?*

გაგრძელება იქნება

# შოთა კვირაია: სოხუმში 5 საათის შემდეგ ქუჩაში გამოსვლა საშიშია

*– ბატონო შოთა, სამშვიდობო ჯარისთვის მანდატის გაფართოება რაიმე პრაქტიკულ შედეგს მოგვცემს?*

– ერთი თვე გვაქვს დრო. ამ პერიოდში ყველა სამინისტრო, რომელსაც ეხება, უნდა ამუშავდეს ამ მიმართულებით და ჩვენი პოზიცია უნდა დაფიქსირდეს ძირითად საბუთში.

*– პრაქტიკულად?*

– პირველია შეჯერებული პატრულირება სამშვიდობო ძალებთან ერთად. ჩვენი მხრიდან მნიშვნელობა არა აქვს, შსს იქნება, თავდაცვის თუ უშიშროების სამინისტროს შენაერთები. ჩვენ რომ შევალთ იქ, პასუხისმგებლობას მე ავიღებ, თუ არა და სხვა. თუ ეს ერთობლივი პატრულირება არ მოხდა, მაშინ პრეტენზიებს რომ გვიყენებენ, მე თუ კონტროლის საშუალება არა მაქვს, თუ არ შემიძლია ვინმე დავკითხო, გავერკვე, თუ ამის საშუალება არ მექნა, ის პრეტენზიები, რასაც გვიყენებს არძინბა, მიუღებელია და არც მივიღებ. ტერიტორიას არ ვაკონტროლებ და ტერორისტული აქტები სპეცსამსახურს ბრალდება, სად გაგონილა? ჩვენ თუ შევალთ, ეს პრობლემა მოიხსნება ჯერ გალში, შემდეგ ოჩამჩირესა და ტყვარჩელში.

თუ ამ მოლაპარაკებით მოხერხდა და ჩვენ ენგურჰესი გავაკონტროლეთ, ეს ხომ სტრატეგიული ობიექტია და მაშინ მართლაც იქნება წინგადადგმული ნაბიჯი.

*– არძინბას პრეტენზიები ახსენეთ და რეალურად მაინც რა ხდება იქ?*

– რაც მაგათ დამსჯელი ოპერაციები ჩაატარეს გალის რაიონსა, ოჩამჩირესა და ტყვარჩელში, ამან გამოიწვია დაპირისპირება. ძირითადი თუ არა, ერთ-ერთი კვანძი ესაა. მეორე, ოთხი წელი გავიდა და ადგილზე გაუჩნდა ოპოზიცია. გუდაუთასა და ოჩამჩირეს შორის კლანებში მოხდა დაპირისპირება. ასევე, „პარლამენტში" თავისი ახლობლები შეჰყარა, ყველა გუდაუთელი. ძველიდან დარჩა მხოლოდ ჯინჯოლია. აქაც დაპირისპირებაა. რაც შეეხება სოხუმს, ხუთი საათის შემდეგ ქუჩაში გამოსვლა საშიშია. ხალხს ხელფასი 1996 წლის მაისიდან არ მიუღია, პენსიებზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია. კიდევ პარტიზანული მოძრაობა, რომელიც არ ემორჩილება საქართველოს ხელისუფლებას.

*– ვინ არიან ისინი?*

–ქართველები, სომხები და სხვებიც, ვინც არძინბას რეჟიმის ზეწოლას განიცდის. ამ ხალხს არაფერი დარჩა და აიღო იარაღი. ჩვენი ინფორმაციით, ეს მოძრაობა უნდა გამწვავდეს და არა მარტო გალის და ოჩამჩირის რაიონებში, არამედ მოსალოდნელია სოხუმში და გაგრაში სიტუაციის გამძაფრება უახლოეს თვეებში.



*– ბატონო შოთა, არ გაწუხებთ ირინა სარიშვილის განცხადება და კომისიის შექმნა ამ საკითხზე?*

– მე ამაზე იმდენჯერ გავეცი პასუხი, რომ აღარ ღირს საუბარი. ერთი კია, გადაათვალიერეთ ბოლო პერიოდის ინტერფაქსის და სხვა სააგენტოების მასალები, სადაც ხაზგასმით გადმოსცემენ, რომ საქართველოს სპეცსამსახურებმა გააძლიერეს მუშაობა აფხაზეთთან მიმართებაში. აქედან კი თქვენ გამოიტანეთ დასკვნა.

*– იქნებ უფრო დაწვრილებით გვესაუბრა?*

– ჯერ მეტი არაფერი მაქვს სათქმელი, შემდეგ ენახოთ.

*– გმადლობთ*

მანანა იაშვილი

# პარლამენტის დადგენილებით «ოფელია» მიდის მონასტერში...

პარლამენტმა მიიღო სამოქალაქო კოდექსის კიდევ ერთი პუნქტი, რომელიც აკანონებს, რომ განქორწინებულ ქალს არ შეუძლია ისევ გათხოვდეს 10 თვის განმავლობაში. როგორც სხდომაზე აღინიშნა, ასეთი გადაწყვეტილება იმიტომ მიიღეს, რომ თუ ქალი ორსულად დარჩა, განქორწინებულმა მამამ შვილზე უარი ვერ თქვას. გასაგებია ჩვენი პარლამენტარების ესოდენ გულისამაჩუყებელი ზრუნვა უმამოდ დარჩენილი ბავშვების მიმართ, მაგრამ ახლა წარმოვიდგინოთ სიტუაცია, როდესაც გაყრის პროცესი (ასეთი ფაქტები ხშირად გვხვდება სამამულო იურისპრუდენციაში) ერთი წელი ან მეტი ხანი გრძელდება. დაფეხმძიმდა ქალი გაყრის პროცესის დაწყებიდან ნახევარი წლის შემდეგ სხვა მამაკაცისგან, ბავშვი დაიბადა გაყრიდან 3 თვის შემდეგ, რა ექნათ? მაინც ვაიძულოთ, გინდა თუ არა ყოფილმა ქმარი „შვილი" „პასპორტში" ჩაიწეროს და ალიმენტი იხადოს? მერედა რა დააშავა ქალმა, თუკი კაცს უფლება აქვს განქორწინების მეორე დღესვე მოიყვანოს სხვა ცოლი, რატომ ვართმევთ ასეთ უფლებას ქალს? მითუმეტეს დღეს, როდესაც გენეტიკის განვითარებამ ისეთ დონეს მიაღწია, რომ ყოველგვარი „10 თვეების" გარეშე, 1 დღის განმავლობაში შეიძლება დადგინდეს ვინ არის ბავშვის მამა. ანდა, რომელი კანონის ძალით გახდება მრუში ქალის შვილი მაინცდამაინც ოფიციალური ქმრის შვილი? თუკი კანონი იმაზეა გათვლილი, რომ ქალებს შევშინდეთ და ქმრებს რქები აღარ დაადგან, ძალიან საეჭვოა პარლამენტის გადაწყვეტილებამ რაიმე შედეგი გამოიღოს.

ისე კი, ამ კანონის მიღებას, ალბათ, ის აჯობებდა, ხალხისთვის ცოტა ადამიანური ცხოვრების პირობები შეექმნა ხელისუფლებას, რასაც, ჩემის ღრმა რწმენით, ავტომატურად განქორწინების (და მრუშობის) მსურველთა კატასტროფული რიცხვის შემცირება მოყვებოდა.

კობა კიკნაძე

# ცნობები აფხაზეთიდან

სააგენტოს კორესპონდენტისათვის სარწმუნო წყაროზე დაყრდნობით, ცნობილი გახდა, რომ შეიარაღებული აფხაზური დაჯგუფების მიერ, სოხუმში გაიძარცვა რუსეთის საჰაერო თავდაცვის ჯარების ტერიტორიაზე მდებარე საერთაშორისო წითელი ჯვრის ოფისი, საიდანაც გაიტაცეს 9 მილიარდი რუსული რუბლის ექვივალენტი თანხა.

* * *

სააგენტოს კორესპონდენტისათვის კარგად ინფორმირებული წყაროდან ცნობილი გახდა, რომ უკანასკნელ დღეებში გახშირდა გაგრის ზონაში მცხოვრებ აფხაზებსა და სომხებს შორის დაპირისპირების ფაქტები. დაბა ლესელიძეში, სომხურ ოჯახს ფულის გამოძალვის მიზნით, თავს დაესხა აფხაზთა შეიარაღებული ჯგუფი. გაწეული წინააღმდეგობის შედეგად მოკლეს ოჯახის სამი წევრი.

* * *

იმავე წყაროს ინფორმაციით, სოფ.გუმისთაში, აფხაზი ბოევიკების ჯგუფი ოკეიწინიას მეთაურობით, გაძარცვის მიზნით, თავს დაესხა ადგილობრივ რუს მაცხოვრებელთა ოჯახებს, რომელთა წევრებსაც სიცოცხლისათვის საშიში ჭრილობები მიაყენეს. აღნიშნული შემთხვევების სიხშირის გამო, მიღებული ინფორმაციით, გახშირდა აფხაზეთში მცხოვრები რუსი ეროვნების პირთა მიერ რუსეთის მოქალაქეობის მიღებისა და აფხაზეთის დატოვების შემთხვევები.

* * *

იმავე ინფორმირებული წყაროს ცნობით, გრძელდება თურქეთიდან, სირიიდან და იორდანიიდან ჩასული აფხაზების ჩასახლება ქართველთა საცხოვრებელ სახლებში გაგრაში, დაბა ბიჭვინთასა და სოფ.ლიძავაში.

(იპრინდა)

## ეკონომიკური ბლოკადის გამო აფხაზეთში თეთრი ღვინო აღარ მზადდება — შეწუხებულია ქართველი ჟურნალისტი (!)

„კავკასიურ სახლში" გუშინ გამართულ შეხვედრაზე გაზეთ „მოსკოვსკიე ნოვოსტი"-ს კორესპონდენტმა ა.მიქაძემ და რადიოჟურნალისტმა მ.დარჯანიამ ისაუბრეს 27–28 მარტს მოსკოვში, აფხაზ და ქართველ ჟურნალისტებს შორის გამართულ შეხვედრაზე. მხარეებს წარმოადგენდნენ 3–3 ჟურნალისტი. შეხვედრა ორგანიზებული იყო ჟურნალისტთა კავშირის კონფედერაციის, ა.სახაროვის ფონდის და „ობშაია გაზეტა"-ს მიერ. ხელი მოეწერა ოქმს „აფხაზ და ქართველ ჟურნალისტთა შეხვედრის შესახებ", რომელიც ითვალისწინებს პოლიტიკურ საქმიანობაში ჟურნალისტური ეთიკის საერთაშორისოდ აღიარებული ნორმების დაცვას, ფაქტების ობიექტურად და სწორად გაშუქებას, ქართული და აფხაზური მხარეებიდან უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მოძიების საკითხში მასმედიის როლს, მხარეებს შორის პერიოდიკის გაცვლას და სხვა. როგორც ა.მიქაძემ განაცხადა, აღნიშნული შეხვედრის თაობაზე ინფორმირებულნი იყვნენ როგორც საქართველოს ხელისუფლება, ისე აფხაზეთის ე.წ. მთავრობა.

დღევანდელ შეხვედრაზე ვრცლად ისაუბრეს აფხაზეთში დღეს მიმდინარე პროცესებზე. კერძოდ, იქ არსებულ ეკონომიკურ ბლოკადაზე, რომელიც ა.მიქაძის თქმით, საკმაოდ ნათლად ჩანს. მან მაგალითად მოიყვანა ის ფაქტი, რომ აფხაზეთში აღარ მზადდება თეთრი ღვინო, რადგან ბლოკადის გამო იქ შაბიამანი ვერ შეაქვთ. მისივე თქმით, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციებში ქართული მხრიდან აფხაზთა გენოციდის ფაქტები უფრო მეტია, ვიდრე ჩვენი. „ჩვენ ერთადერთი კოზირი გვაქვს, ის, რომ 260 ათასი ლტოლვილი დღეს საქართველოს სხვადასხვა რაიონებში ცხოვრობს", – განაცხადა ა.მიქაძემ. მან აქვე დასძინა, რომ აფხაზური მხარე არ არის ლტოლვილთა დაბრუნების წინააღმდეგი. ა.მიქაძემ მაგალითად მოიშველია ის გარემოება, რომ ქართველთა არცერთი საცხოვრებელი ბინა აფხაზებს დღემდე არა აქვთ გადაფორმებული და აინტერესებთ, ლტოლვილთა დაბრუნების შემთხვევაში, მიეცემათ თუ არა მათ იმის კომპენსაცია, რომ ამ ხნის განმავლობაში სახლებს უპატრონეს. „აფხაზებს აშინებთ მხოლოდ ის – დაბრუნების შემთხვევაში იქნებიან თუ არა ლტოლვილები დაცულნი", – განაცხადა ა.მიქაძემ. მისივე თქმით, აფხაზი ჟურნალისტები მწვავედ აღიქვამენ ქართულ პრესაში გამოქვეყნებულ სტატიებს, სადაც მათ მოიხსენიებენ, როგორ აფსუებსა და ჩამოსულებს, რითაც ა.მიქაძის განცხადებით, დიდ ზიანს ვაყენებთ აფხაზებს და ეს არ შეიძლება, „გვეყოფა ლანძღვა-გინება, ჯობია ადამიანურ ურთიერთობებზე გადავიდეთ, სხვაგვარად ათასობით ლტოლვილი აფხაზეთში ვერ დაბრუნდება", – განაცხადა დასასრულს ა.მიქაძემ.

დღევანდელი შეხვედრის ორგანიზატორები ერთსულოვანნი იყვნენ იმ საკითხში, რომ ჟურნალისტებს შორის უნდა აღდგეს ნდობის ფაქტორი. მათივე თქმით, „გვეყოფა ნეიტრალურ ტერიტორიაზე შეხვედრები და შემდგომი შეხვედრა ა.წ. ივლისში, ბიჭვინთაში, ან სოხუმში გაიმართება". (იპრინდა)

## ედუარდ შევარდნაძე: „აფხაზეთის პრობლემის გადაწყვეტის გასაღები რუსეთის ხელშია. დღეს ბევრი რამაა დამოკიდებული მოსკოვის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებაზე“

გუშინ, ორშაბათის ტრადიციულ რადიოინტერვიუში, გასულ კვირაში საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ აფხაზეთის პრობლემის შესახებ კონცეფციაზე საუბრისას პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, რომ ნაადრევად შეიქმნა აჟიოტაჟი ამ საკითხის ირგვლივ, რადგან პარლამენტმა იგი მიიღო როგორც შემდგომი მუშაობის საფუძველი. ერთი თვის შემდეგ მას, შეიძლება, უკვე პრინციპული შეფასება მიეცეს. პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ საქართველო ასრულებს თავის ვალდებულებებს რუსეთის წინაშე სტრატეგიული ვალდებულებების ფარგლებში, მაგრამ – მისი თქმით – სტრატეგიული თანამშრომლობა ითვალისწინებს არა მარტო სამხედრო ბაზების განთავსებას, არამედ რეალური შედეგების მიღწევასაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხში. (ბი ჯი აი)

## აფხაზეთი დაჟინებით მოითხოვს საკუთარი საზღვრების რუსეთთან ერთობლივ დაცვას

აფხაზეთის ხელისუფლებამ გააკეთა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ რუსეთთან ხელი უნდა მოეწეროს ხელშეკრულებას სახელმწიფო საზღვრების ერთობლივი დაცვის შესახებ. ოფიციალური წყაროების ცნობით, განცხადებაში აღნიშნულია, რომ თუ რუსეთი მოსკოვის სამიტის გადაწყვეტილებებით ისარგებლებს, აფხაზეთი აიძულებს მას, გაიყვანოს თავისი სასაზღვრო ნაწილები რესპუბლიკის ტერიტორიიდან. იგივე წყაროები გვამცნობენ, რომ 8 აპრილს აფხაზები ფსოუს საკონტროლო გამშვებ პუნქტთან აპირებენ მიტინგის მოწყობას ეკონომიკური სანქციების წინააღმდეგ აფხაზეთთან მიმართებაში. (ბი ჯი აი)

## ოჩამჩირის რაიონში სამგზავრო ავტობუსი აფეთქდა

2 ადამიანი დაიღუპა და 10 მძიმედ დაიჭრა ოჩამჩირის რაიონში სამგზავრო ავტობუსის აფეთქების შედეგად. ავტობუსი ტანკსაწინააღმდეგო ნაღმზე აფეთქდა სამშვიდობო ძალების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე. ოფიციალური წყაროების ცნობით, ეს ფაქტი რამდენიმე დღის წინ მოხდა. (ბი ჯი აი)

# ხელისუფლებისთვის ბრძოლის ფილოსოფია კარიკატურისტის თვალით



მ. აბაშიძის კარიკატურა

*ხშირად თანამდებობის პირს ცხვირსახოცივით იხმარენ და მერე დადანაშაულებულს მოისვრიან ხოლმე, ზოგჯერ ეს ამბავი თვითმკვლელობითაც მთავრდება...*

*ყოფილი ვიცე-პრემიერის რომან გოცირიძის ინტერვიუ ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების ამ უზნეო მხარეს ეხება, სადაც კიდევ ერთხელ გაკრთა დვალიშვილის სახე.*

## რომან გოცირიძე:
# ის, რაც მოხდა, ყოველთვის შეიძლება მოხდეს

*დანაშაულებრივი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის თემა დღესაც არ არის მივიწყებული არამარტო მოვლენების დრამატულობისა და მასში მოქცეული ზოგიერთი პერსონაჟის ტრაგიკული ბედის გამო (პირველ რიგში იგულისხმება ეროვნული ბანკის მაშინდელი პრეზიდენტის დემურ დვალიშვილის თვითმკვლელობა), არამედ იმიტაც, რომ ქვეყანაში ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულა ისეთი სამართლებრივი და ინსტიტუციონალური მექანიზმები, რომლებიც მოგვცემდა მსგავსი, მეტად სავალალო მოვლენების თავიდან აცილების შესაძლებლობას.*

*ამ თემაზე ჩვენ ვთხოვეთ გამოეთქვა თავისი აზრი მაშინდელ მთავრობის ვიცე-პრემიერს, ბ-ნ რომან გოცირიძეს.*

*არამარტო ფართო საზოგადოებას, არამედ არც ჩვენს ხელისუფლებას აწყენდა ერთხელ კიდევ კრიტიკულად გაეანალიზებინა ის, რაც მოხდა, რადგან, თუკი პარკინსონის ცნობილი სალაღობო კანონებს მოვიშველიებთ, „ის, რაც ერთხელ მოხდა, ყოველთვის შეიძლება მოხდეს“.*



*– დვალიშვილის მიერ წარმოებული ფულად-საკრედიტო პოლიტიკა რა მიზეზებით იყო განპირობებული და იყო თუ არა იგი მიზანმიმართული ეკონომიკური დივერსია?*

– ამ პერიოდში გატარებულ ფულად-საკრედიტო პოლიტიკას ვერ ვუწოდებთ მხოლოდ დვალიშვილის სახელს, ისევე, როგორც არ შეიძლება პასუხისმგებლობა მხოლოდ ერთ ადამიანზე იქნას გადატანილი. ეს იყო ფორმალურად ეროვნული ბანკის მიერ წარმოებული პოლიტიკა და პასუხისმგებლობა სხვადასხვა ხარისხით ეკისრება არამარტო ბანკის პრეზიდენტს. თუმცა, ამ პოლიტიკის ძირითადი იდეოლოგის შემმუშავებელი და კონკრეტული გადაწყვეტილებების მიმღები, რა თქმა უნდა, ბანკის პრეზიდენტი იყო. ფორმალურად იმიტომ ვამბობ, რომ ეროვნული ბანკი მაშინ გადაქცეული იყო რაღაც უხილავი ბოროტი საფინანსო-საბანკო პროცესების ცენტრალურ ნაწილად, რომლის მეშვეობითაც ხდებოდა უზარმაზარი თანხების განიავება (მითვისება) სხვადასხვა სახის მაქინაციების გზით. ფართე გაგებით ეს იყო სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა ორგანოებისა და ცალკეული პირების, აგრეთვე მათთან დაკავშირებული საქმოსნების ერთობლივი ზემოქმედება ქვეყნის ეროვნულ ბანკზე და მთლიანად საბანკო სისტემაზე. ამ ზემოქმედების მოტივი იყო როგორც სახელმწიფო (მათ შორის, ვიწროუწყებრივი) ინტერესების დაკმაყოფილება (თუმცა, არჩეულ იქნა ამ ინტერესების დაკმაყოფილების ყველაზე არასწორი გზა, რამაც თავის მხრივ საფუძველი ჩაუყარა ქვეყანაში მანკიერი საფინანსო პროცესების ალმოცენებასა და უზარმაზარი სახსრების განიავებას), ასევე პირადი ინტერესები.

იმას, რომ ქვეყანაში მოიშალა საფინანსო-საბანკო სისტემა და მოხდა პირველი ეროვნული ვალუტის (კუპონის) განადგურება ინფლაციის გზით, აქვს რამდენიმე მიზეზი: პირველი, ეს იყო აბსოლუტური უვიცობა (არ ვამბობ უცოდინარობას ან სხვა უფრო რბილ ფორმას ამ მნიშვნელობის გამოსახატავად. ეს იყო ელემენტარული უვიცობა) მაკროეკონომიკური, მათ შორის, საფინანსო-საბიუჯეტო და ფულად-საკრედიტო სფეროში. ასეთი მდგომარეობა თავის მხრივ გამოწვეული იყო საბჭოთა კავშირის ერთიანი სამეურნეო სისტემიდან გამოსვლითა და დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი მართვის ჩვევების არქონით. ეს ეხებოდა უკლებლივ ყველა რგოლს და სფეროს: მინისტრებს, დეპუტატებს, ხელისუფლებისა და საფინანსო-საბანკო სფეროს უმცირესი ეშელონების წარმომადგენლებს. ამიტომაც არ იყო გასაკვირი, რომ ბევრმა აიტაცა ე.წ. ემისიის, ანუ ეროვნული ბანკის მიერ მიმოქცევაში დამატებითი ფულადი მასის გამოშვებით საქართველოში უცხოეთიდან საქონლის შემოტანის იდეა. მეორეს მხრივ, ეს იყო იმდენად მცდარი ქმედება, რომ შეუძლებელია იმ მოვლენების, რომლებიც მაშინ ხდებოდა, მხოლოდ ამ ერთი ფაქტორით – გამოუცდელობითა თუ უცოდინარობით ახსნა.

მეორე ფაქტორი იყო როგორც ხელისუფლების, ასევე საზოგადოების გავლენიანი ფენების (სამეურნეო სტრუქტურები, პოლიტიკური ძალები და ა.შ.) პირადი ანგარება, სიხარბე, გამორჩენაზე (თუ თავის გადარჩენაზე) ზრუნვა. ქვეყანა ინგრეოდა, ზოგს ხელიდან ეცლებოდა ქონება და გავლენა, ზოგსაც უჩნდებოდა ამ ქონების მოპოვების შანსი. ეს იყო ბრძოლა არსებობისათვის და ბრძოლა გავლენის მოსაპოვებლად, რომელმაც უკანა პლანზე გადასწია საქვეყნო ინტერესები და წინ წამოსწია პირადი. ეს იყო პერიოდი (და იგი, სამწუხაროდ, დღემდე გრძელდება), როდესაც რაიმე სერიოზულ ქმედებას, მათ შორის გამომდინარეს სახელმწიფო ინტერესებიდან, თან სდევს პირადი ან ჯგუფური ინტერესების დაკმაყოფილება. თუკი არ ხდება ინტერესთა ასეთი თანხვედრა; საქმე ვერ მიდის წინ და როგორც წესი, კრახით მთავრდება.

ხელისუფლებაში ქვეყნის ბედზე ზრუნვის ნაცვლად ჯგუფურ ინტერესებზე ზრუნვის ფაქტორი გახდა ამგვარი ფულად-საკრედიტო (და არა მხოლოდ მისი) პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი.

რაც შეეხება შეკითხვის მეორე ნაწილს – იყო თუ არა ეროვნული ბანკის ასეთი პოლიტიკა მიზანმიმართული ეკონომიკური დივერსია, პასუხი ასეთია: რა თქმა უნდა, არა. საერთოდ, ჩვენს საზოგადოებაში, უფრო მეტად პოლიტიკურ ცხოვრებაში, დომინირებს პარანოიალური აზროვნება, როდესაც საღი ანალიზის ნაცვლად დასკვნები გამოაქვთ პრიმიტიული, აკვიატებული განცდების საფუძველზე. სერიოზულად საუბრობენ იმაზე, რომ აფხაზეთი ვიღაცამ სპეციალურად ჩააბარა, რომ ვიღაც არის ვიღაცის აგენტი და ა.შ. ბუნებრივია, ჯაშუშები ყველგან არის და არც მოღალატეების ნაკლებობაა, მაგრამ გააჩნია ამ მოვლენებს როგორ განაზოგადებ. ის, რაც ხდებოდა ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში იმ მძიმე პერიოდში – ეს იყო არაპროფესიონალიზმი და ანგარება.

იმ პერიოდის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მიერ მიყენებული ზარალი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ იგი ყველა დივერსიაზე მეტია. ალბათ, ამიტომაცაა, რომ ჩნდება ეჭვები და ზოგჯერ აბსურდული დასკვნებიც გამოაქვთ...

*– რას ემსახურებოდა იმ პერიოდში წარმოებული ფულადი პოლიტიკა. რითი შეიძლება მისი ახსნა?*

– ფორმალურად იგი ითვალისწინებდა დამატებითი საკრედიტო რესურსების შექმნას და ამ თანხების უცხოეთში გადასროლის გზით დამატებითი საქონლის შემოზიდვას. რეალურად იგი ემსახურებოდა ხელისუფლების მაღალ ეშელონებში მოკალათებული ადამიანებისა და მათთან დაკავშირებული საქმიანი წრეების გამდიდრებას. ამ პოლიტიკის შედეგად მოსახლეობამ მთლიანად დაკარგა თავისი დანაზოგები. ფაქტიურად ხდებოდა მოქალაქეთა ფულადი და მატერიალური ფასეულობების გაუფასურება და მათი გადასვლა ერთი ხელიდან მეორეში ეროვნული ბანკის მიერ მუქთადგაცემული სესხების მეშვეობით. ინფლაციამ და ქვეყნის სავალუტო რეზერვების აბსოლუტურ ნულამდე ამოწურვამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა თავდაცვითუნარიანობის დასუსტებასა და აფხაზეთის ომში დამარცხებაზე.

გაგრძელება იქნება

## ამბიციებიც ასეთი უნდა

*ეროვნული იდეოლოგიის პარტია საქართველოს პარლამენტის უფლებამოსილების საკითხის დაყენებას აპირებს.*

გუშინ საქართველოს ეროვნული იდეოლოგიის პარტიამ გაავრცელა მიმართვა პარლამენტისადმი, რომელშიც წამოწეულია შემდეგი მოთხოვნები: უახლოეს ხანებში მოაწესრიგოს სახელისუფლებო კრიზისი და შეცვალოს ულირსი მინისტრები; მოაწესრიგოს ქვეყნის საშინაო პოლიტიკა; დაუყოვნებლივ აღადგინოს ეროვნული იდეოლოგია სახელმწიფო დონეზე; სახელმწიფო დონეზე აღიაროს ეროვნული თვითმმართველობა; საგარეო პოლიტიკაში გამოკვეთოს ეროვნული კურსი, რომელიც მთლიანად უნდა შეესაბამებოდეს კავკასიური სახლის პოლიტიკურ დოქტრინას; სასწრაფოდ გადაწყვიტოს აფხაზეთისა და ლტოლვილების პრობლემა.

ამ მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში პარტია მოიწვევს ეროვნულ ყრილობას და დააყენებს საქართველოს პარლამენტის უფლებამოსილების საკითხს. (ბი ჯი აი)

## 9 აპრილი მშვიდობიანად ჩაივლის

1989 წლის 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი მიტინგი დაიწყება 8 აპრილს 19.00 საათზე სასტუმრო „ივერიასთან" – განაცხადა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა საკოორდინაციო საბჭოს წევრმა ჯემალ გამახარიამ. მისი თქმით, 9 აპრილს დღის პირველ საათზე აქციის მონაწილეები ფილარმონიის შენობიდან პარლამენტის შენობისაკენ დაიძვრებიან. მსვლელობა მშვიდობიანი იქნება და ყოველგვარი ექსცესების გარეშე ჩაივლის. (ბი ჯი აი)

## საქართველო დიპლომატიურ ურთიერთობებს ამყარებს იაპონიასთან

გუშინ თბილისს ეწვია იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ეხაკირო ტოკი. კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაში ელჩი რწმუნების სიგელებს გადასცემს საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს. დაგეგმილია ელჩის შეხვედრები საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრთან ირაკლი მენაღარიშვილთან, სახელმწიფო მინისტრთან ნიკო ლეკიშვილთან და თავდაცვის მინისტრის მოადგილესთან გურამ ნიკოლეიშვილთან.

XI კლასელებისა და აბიტურიენტებისათვის

სკოლაში შესასწავლი ქართველი მწერლები

# დავით კლდიაშვილი

## „ქამუშაძის გაჭირვება"

განხილვა

ნოდარ გრიგალაშვილი

### ზედმეტი ადამიანები

ლიტერატურა ე.წ. „ზედმეტ ადამიანთა" მრავალგვარ ტიპს იცნობს. XIX და XX საუკუნის მწერლობაში უხვად გამოიკვეთა ასეთი სახეები. „ზედმეტი ადამიანის" სახელით ვიცნობთ ისეთ პერსონაჟებს, როგორიცაა პუშკინის ონეგინი, ლერმონტოვის პეჩორინი, ტურგენევის ლავრეცკი, გიორგი ერისთავის ივანე დიდებულიძე, ილია ჭავჭავაძის გიორგი, ვაჟა-ფშაველას მინდია, ალუდა ქეთელაური, მიხეილ ჯავახიშვილის თეიმურაზ ხევისთავი, ნიკო ლორთქიფანიძის თავსაფრიანი დედაკაცი, კონსტანტინე გამსახურდიას თარაშ ემხვარი, კონსტანტინე სავარსამიძე, ნოდარ წულეისკირის პანტე ჯაავა და სხვა. კიდევ მრავალი მწერლის პერსონაჟთა დასახელება შეიძლება ასეთ სიაში.

ეს პერსონაჟები ტიპოლოგიურად სრულიად განსხვავებულნი არიან და მაინც, მათ ერთი საერთო, „ზედმეტი ადამიანის" სახელით მოეიხსენიებთ ხოლმე განმაზოგადებელი ნიშანი, რითაც აღნიშნული გმირები ხასიათდებიან, თვით „ზედმეტი ადამიანის" ცნებაში მოიაზრება (ეს ცნებაც, ცხადია, გარკვეული პირობითობის შემცველელია, რადგან ბუნებაში არაფერი და მით უფრო, არავინ შეიძლება იყოს „ზედმეტი").

XIX საუკუნის ქართულმა სინამდვილემ წარმოშვა „ზედმეტი ადამიანები", რომელთა ცოდნა, განათლება, მიზნები, ოცნებები და იდეალები უნაყოფო იყო. ისინი მოსწყდნენ პრაქტიკას, სინამდვილეს და იმავე სინამდვილის ულმობელმა ლოგიკამ ოცნებაში ჩამონაკვთული მათი სამყარო, მათი ილუზიები, სასაცილოდ საცოდავი გახადა (ამგვარ პიროვნებათა ლიტერატურული ხატია ივანე დიდებულიძე).

იმავე XIX საუკუნის ქართულმა სინამდვილემ მოგვცა ისეთი ტიპის „ზედმეტი ადამიანები", რომელთა სახეები აკაკის „რუსეთუმეში" და „ღამურაში" აირეკლა.

ყოველდღიურ წვრილმან, ყოფით გაწამაწიაში ჩაფლული საზოგადოებისათვის ზედმეტ ადამიანებად ქცეულან ისეთი ზნემაღალი და „უცხო" თვისებების პირები, როგორიცაა ოთარაანთ ქვრივის გიორგი, ალუდა ქეთელაური, მინდია, რომელთა მთელი „დანაშაული" ის არის, რომ ზურგი აქციეს დროებით ღირებულებათა მქონე მიზნებს და მარადიული იდეალების ერთგულ მსახურებად გვევლინებიან.

XX საუკუნის დასაწყისში ქართულმა მწერლობამ „ზედმეტი ადამიანის" სხვაგვარი ტიპი გამოკვეთა. საუკუნის დასაწყისში ინტელიგენცია იბრძოდა დიდი შემართებითა და მონდომებით. მაგრამ როცა თვით ხალხი მოექცა ბრძოლის ავანგარდში, ინტელიგენციის ერთი ნაწილი, რომელიც ადრე იღწოდა „ხალხისათვის და არა ხალხთან ერთად", ბრძოლის შედეგით შეძრწუნებული, მოძრაობას გამოეთიშა, გაირიყა, საერთო ბრძოლის შედეგში წილი აღარ ედო, ზედმეტ ადამიანებად იქცნენ. ასეთ მოღვაწეთა სახეა თეიმურაზ ხევისთავი.

ერთი სიტყვით, სხვადასხვა ეპოქაში და თუნდაც ერთსა და იმავე დროში, პიროვნების ზედმეტ ადამიანად ქცევას განსხვავებული ობიექტური საფუძველი განაპირობებს.

„ზედმეტ ადამიანებად" ქცეულან დავით კლდიაშვილის აზნაურებიც, რომელთა ცხოვრებაში კრიზისული სიტუაცია დგება და ისტორიის ლოგიკა მათ მზისქვეშეთში ადგილს აცლის.

აზნაურობას თავისი ისტორიული ფუნქცია ერისა და ქვეყნის წინაშე აღარ აქვს. წასულა ხმალთა კვეთებისა და აბჯრის ჟღრიალის დრო. ახლა გუთანს უნდა მოეკიდონ და მუშაკებად იქცნენ. შრომა კი მათთვის სათაკილოა და დამამცირებელი. გავიხსენოთ, ყანაში ყაზახივით მომუშავე ოტიას დანახვა ცოლისთვის თუ როგორ ტრაგედიად აღიქმება.

აზნაურობა გამოუვალ მდგომარეობაშია. თუ არ იშრომებენ, შიმშილით სული გაძვრებათ. იძულებულნი არიან იმუშაონ, მაგრამ ფიზიკური შრომაც ტრაგედიაა მათთვის, რადგან „ყაზახობა" მათ კეთილშობილებას შეურაცხყოფს.

ასე რომ, ერთ დროს სანუკვარი წოდებრივი პრივილეგია, ახლა აზნაურთა სულიერი შეჭირვების ერთ-ერთ მიზეზად ქცეულა.

პრივილეგირებული წოდებისათვის კრიზისული სიტუაციები ყოველი ცივილიზებული ერის ისტორიამ განვლო, ასე რომ, „ზედმეტ ადამიანთა" ისეთ ტიპებს, როგორსაც დავით კლდიაშვილი გვიხატავს, ცხადია, სხვაგვარი ხასიათებით სხვა ქვეყნების წარსული ცხოვრებაც გამოჰკვეთს, მაგრამ „ქამუშაძის გაჭირვებაში" თუ მწერლის სხვა თხზულებებში სრულიად განსხვავებულ საფუძველზე წარმოშობილ „ზედმეტ" ადამიანთა გულისმომკვლელ სახეებსაც ვხედავთ.

ასე, მაგალითად, კლდიაშვილის სამყაროში ოჯახის წევრები ერთმანეთთან არა მარტო გაუცხოებულად გრძნობენ თავს, არამედ ამ ოჯახებში კიდევ მეტი უბედურება ტრიალებს. ოჯახში რომელიღაც წევრი ან წევრები „ზედმეტ ადამიანებად" ქცეულან. სავალალო ის არის, რომ მათ „ზედმეტ ადამიანებად" ქცევას არავითარი დიდი ფილოსოფიური თუ ფსიქოლოგიური საფუძველი არ უდევს. უბრალოდ, ისინი ზედმეტნი არიან ეკონომიური გაჭირვების გამო.

„ქამუშაძის გაჭირვებაში" ახალგაზრდა შვილები ოჯახებიდან გარბიან და მოხუც მშობლებს, რომელთა რჩენა მათ არ შეუძლიათ, ღვთის ანაბარა მიატოვებენ. ასეთი ბედი ხვდა მოხუც ლევანსა და მის ცოლს ეფროსინეს. ეს უბედური ადამიანები აღარავის სჭირდება, არც მეზობლებს, არც ნათესავს და საკუთარი შვილებისთვისაც ზედმეტ ბარგად ქცეულან...

კიდევ უფრო გულისმომკვლელია იმის წარმოდგენა, რომ საკუთარ ოჯახში ზედმეტ ადამიანებად გრძნობენ თავს სიცოცხლით სავსე, მშვენიერი ყმაწვილი ქალები, რომელთა გათხოვებას ფული სჭირდება. ვინც ნაკლებ ფულს მოითხოვს, მშობელიც ნივთივით იმას მისცემს თავის ქალიშვილს. ის ნაკლები ფულიც თუ არ აქვს, მაშინ სულაც ვერ გაათხოვებს და შინ დაუბერდება...

როცა სონიას დედამ, პელაგიამ შეიტყო, რომ მის ქალიშვილს საქმრო გამოუჩნდა, გულაჩუყებული, ოჯახის მარჩენალი ვაჟის სურათთან მივიდა და ჩიფჩიფდა: „აწი განთავისუფლდები შენ გენაცვალე, განთავისუფლდები"... ქალაქიდან შვილის სოფელში გათხოვება კი განსაკუთრებით უხარია. რა მოტივით, აღარ იკითხავთ? „ახლოსაც არ გეყოლება – მიმართავს ბეგლარს, – წელიწადში შეიძლება ერთხელ, ორჯერ, მეტად ვერ შემოდგამს ფეხს შენს სახლში..." მხოლოდ ეს სიუჟეტი რომ აღეწერა დავით კლდიაშვილს, ამითაც თვალნათელი გახდებოდა, თუ რად შეიძლება აქციოს ადამიანი მხოლოდ კუჭის ინტერესებით ცხოვრებამ. „ქამუშაძის გაჭირვებაში" არის ერთი პერსონაჟი, სარდიონ ქველიძის ქალიშვილი ნინო, რომლის ზნეობრივ სამყაროზე ვერაფერს ზეგავლენა ვერ მოუხდენია, მის სულს ბიწი არ ეკარება. ამ მშვენიერი ქალიშვილის ცხოვრების მაგალითით მწერალი იმასაც გვეუბნება, რომ ადამიანს ადამიანურობის შენარჩუნება ყოველგვარ სიტუაციაში შეუძლია. მაგრამ თანასოფლელთა შურიანობის, ჭორის, ამპარტავნობის, ზაკვისა და ზვაობის ფონზე, ნინოს ზნემაღლობა გამონაკლისად აღიქმება, გამონაკლისი კი წესს მხოლოდ ადასტურებს.

დამშეული საზოგადოების ცხოვრების წესად კი უზნეობა ქცეულა.

### ღონიერი ქალაქი დასცინის მისუსტებულ სოფელს

რაკი სოფელში ყველა ერთნაირად გაჭირვებულია, აქ ცხოვრების სახსარის შეძენა ჭირს და ამიტომ, ბედის საძიებლად, სოფლელები ქალაქისაკენ ეშურებიან. ქალაქში მრავლად ცხოვრობს ხალხი, ამიტომ აქ გამორჩენის მეტი საშუალებაც უჩნდება კაცს.

სოფელს ჯერ კიდევ არ აუღია თავზე ხელი და სინდისნამუსს, ცოტაოდენს, მაგრამ ჯერ კიდევ ინარჩუნებს ხალხი. ქალაქში კი სრულიად ახალი ტიპის ადამიანები შობა, ადამიანები, რომელთათვისაც სინდისი და პატიოსნება ცარიელი სიტყვების რახარუხია. იქ სადაც უსამართლობა, გაუნათლებლობა და საყოველთაო გაჭირვებაა, ცხოვრების მდინარე ასეთ კაცებს ამოაგდებს ზედაპირზე. მათ იციან როგორ გაძარცვონ და მოატყუილონ თანამოძმე, რაკი ისინი ქალაქში მომრავლდნენ, ამიტომაც მათი პირით, როგორც მწერალი წერს, ღონიერი ქალაქი დასცინის მისუსტებულ სოფელს.

იქ სადაც პატიოსანი, მუხლჩაუხრელი შრომა შედეგს არ იძლევა, მოხერხებულობას, გაქნილობას, გაიძვერობას ეთმობა ასპარეზი, ვისაც ეს თვისებები საკმაოდ აღმოაჩნდება, ცხოვრების ლელოც იმას გააქვს. ასეთია ბეგლარ ჯინჭარაძე, რომელიც „უგულოდ ეპყრობოდა ყველაფერს, რისგანაც რამე სარგებლობას არ გამოელოდა თავისათვის, კაცს აფასებდა მხოლოდ იმის მიხედვით, თუ რამდენად მისგან რამე უსარგებლია, ან გამოელოდა რამე სარგებლობას. მისთვის ყველაფერი უმნიშვნელო იყო და „სისულელე", თუკი პირადად მას არ ასარგებლებდა. არაფერს სხვა რაიმეს მის თვალში ფასი არ ედებოდა. გუნებაში ათასჯერ წინ წაუყენებია თავი იმ „ნასწავლებზე და ნაწვალებებზე", რომლებსაც მასავით ვერ მიუგნიათ იმ გზისთვის, რომელსაც საჭიროა კაცი ადგეს, თუ უნდა თავისი თავის ბედნიერება".

ეს გზა, როგორც ვთქვით, გაიძვერობისა და თაღლითობის გზაა. ამ გზაზე შემდგარი მეორე პერსონაჟი, ბეგლარის ალი-კვალი პორფირი ბიაშვილი სოფელ თამარაშენში ჩასულა და როგორც ნაპოლეონ ბონაპარტე მორიგ დასაპყრობ ქვეყანას, ისე გადასცქერის მაღალი სერიდან სოფელ თამარაშენის მცხოვრებთ. „ამ მაღალ სერიდან რომ დასჩერებოდა აქაურ მოსახლეებს, იგი მხოლოდ იმას ფიქრობდა და თავის გუნებაში ზომავდა იმას, თუ რამდენ გამოსარჩენს იშოვიდა ამათგან და რამდენს საშოვარს შესძენდა ამათი გაჭირვებული, შევიწროებული და ვაგლახი ცხოვრება".

ამ გაჭირვებულ, შევიწროებულ და ვაგლახ გლეხკაცთა და აზნაურთა სოფელს თამარაშენი ჰქვია. „ქამუშაძის გაჭირვებაში" სოფლის სახელწოდებას სიმბოლური დატვირთვა უნდა ჰქონდეს. თამარაშენი – დიდი მეფის, თამარის სახელს უკავშირდება. თამარი ქართველთა სიძლიერის, სილაღის, სიმდიდრის, ზნეობის, პატიოსნების, სიყვარულის სიმბოლოა. სოფელს მხოლოდ სახელწოდება შერჩენია ძველი. ქართველებსაც მხოლოდ სახელად შერჩენიათ ქართველი. ახალ დროში სოფლის სახელწოდება– თამარაშენი, უკვე მწარე ირონიად ჟღერს.

დასასრული. დასაწყისი იხ. „საქართველო" №31,32,33.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სსრკ დაიშალა, შემდეგ?

თბილისში ჩატარდა კონფერენცია სახელწოდებით „სსრკ-ს დაშლა და მისი შედეგები“. მისი ორგანიზატორი იყო საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია. კონფერენციის მუშაობის მსვლელობისას მოისმინეს სსრკ-ს დაშლასა და მის შედეგებთან დაკავშირებული მოხსენებები. (ბი ჯი აი)

## ჩეხეთი დახმარებას ჰპირდება საქართველოს სახელმწიფო ავიაკომპანიებს

6 აპრილს, საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა ნიკო ლეკიშვილმა მიიღო ჩეხეთის ავიაკომპანიის დელეგაცია ამ ორგანიზაციის პრეზიდენტის ანტონინ იაკუბსის ხელმძღვანელობით. დელეგაციის მიზანია – დახმარება გაუწიოს საქართველოს სახელმწიფო ავიაკომპანიებს და გაუზიაროს საკუთარი გამოცდილება. მხარეები შეიმუშავებენ კონკრეტული მოღვაწეობის სქემის ერთობლივ სტრატეგიულ გეგმას. ამ დოკუმენტებს განიხილავენ შემაჯამებელ შეხვედრაზე საქართველოს ტრანსპორტის სამინისტროში. (ბი ჯი აი)

## მოსკოველი სამართალდამცავი ვალერია ნოვოდვორსკაია აირჩიეს სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის ასოციაციის გამგეობის წევრად

7 აპრილს, თბილისში, სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის ასოციაციამ კონფერენცია გამართა, რომელიც მიეძღვნა გასულ წელს ჩატარებული სამუშაოს შეჯამებას და სამომავლო გეგმებს. მიიღეს რეზოლუცია საქართველოში ადამიანის უფლებების უხეში დარღვევების შესახებ. აირჩიეს ასოციაციის გამგეობისა და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობები. ასოციაციის პრეზიდენტად კვლავ გიორგი კერვალიშვილი აირჩიეს. (ბი ჯი აი)

# აფხაზები თავიანთ ერთადერთ სამშობლოდ საქართველოს მიიჩნევენ!

*ძვირფასო მკითხველო, ნუ გაგიკვირდებათ ამ სათაურით გადმოცემული ინფორმაცია. ეს სინამდვილეს შეეფერებოდა, ეს სინამდვილეს ახლა აღარ შეეფერება.*

*ქვემოთ გთავაზობთ აფხაზი თავადების მიერ რუსი დიდმპყრობლებისადმი მიწერილ წერილს, რომლიდანაც კარგად ჩანს, რომ აფხაზი საქართველოში ისეთივე ქართველად გრძნობდა თავს, როგორც ჩვენი სხვა კუთხეების წარმომადგენელი.*

*ამ წერილის დაწერიდან საუკუნე გავიდა და რუსმა აფსუებზე დაყრდნობით მოახერხა ნამდვილი აფხაზებიც ჩვენივე მტრებად ექცია.*

*ქვემოთწარმოდგენილ წერილს ახლა, სამწუხაროდ, მხოლოდ ისტორიული ღირებულება აქვს. ღმერთმა ქნას, ერთი-ორი აფხაზისთვის მაინც შეეძრას გული და თავისი ნამდვილი ვინაობა შეეხსენებინოს.*

### მოხსენებითი ბარათი

მის ბრწყინვალებას, გენერალ-ადიუტანტს, თავად სვიატოპოლკ-მირსკის, წოდებრივ და საადგილმამულო საქმეთა ტფილისის კომიტეტის თავმჯდომარეს! აფხაზეთისა და სამურზაყანოს თავად-აზნაურობისაგან

1870 წლის 23 მარტი

მისმა იმპერატორობითმა უდიდებულესობამ, ჩვენმა ყოვლადმოწყალე ხელმწიფემ, მამობრივი ზრუნვით თავისი ერთგული ქვეშევრდომების კეთილდღეობაზე, ბრძანა უშუალო რუსული მმართველობა შემოეღოთ აფხაზეთში, რითაც შესაძლებლობა მოანიჭა აფხაზეთის მკვიდრთ უწინდელ მშფოთვარე დროისთვის ჩვეული შიშისა და ხიფათის გარეშე მისდიონ თავიანთ საქმიანობას და მშვიდად იცხოვრონ კანონებისა და წესრიგის საფარველ ქვეშ.

ამ მოწყალების გაღებითაც არ დაკმაყოფილდა და ხელმწიფე იმპერატორმა კეთილად ინება აფხაზეთზეც გაევრცელებინა 1861 წლის 19 თებერვლის კეთილისმყოფელი რეფორმა, უკვე ამოქმედებული იმპერიის სხვა ნაწილებში და ამიერკავკასიაში.

ამ მიზნით უზენაესად დამტკიცდა სოხუმის წოდებრივი და საადგილმამულო კომისია, შემდგომ კი ტფილისის კომიტეტიც თქვენი ბრწყინვალების თავმჯდომარეობით.

მართალია, სოხუმის წოდებრივმა და საადგილმამულო კომისიამ უკვე დაამთავრა დავალების შესრულება და თავისი მოსაზრებებიც წარუდგინა ტფილისის კომიტეტს, მაგრამ ამ უკანასკნელმა, სანამ რაიმე გადამჭრელ და საბოლოო დასკვნას გამოიტანდა, საჭიროდ ჩათვალა უფროსობის განკარგულებით საგანგებო გამოკითხვით შეემოწმებინა კომისიის დასკვნები ამ საქმისათვის აფხაზეთის მკვიდრთა ყველა წოდებისაგან არჩეულ დეპუტატთა შორის. უფროსობის ბრძანებით შეკრებილმა აფხაზეთის თავად-აზნაურობამ პატივი დაგვდო და თავის წარმომადგენლებად ჩვენ ამოგვირჩია, დაგვავალა რა მათი საჭიროებანი და ინტერესები გადმოგვეცა კომიტეტში გადასაწყვეტ საკითხთან დაკავშირებით.

დიდად ვაფასებთ რა მთავრობის ასეთ ნდობას ხალხისადმი და სავსებით გვესმის რა თანამოძმეთაგან ჩვენზე დაკისრებული დავალების მნიშვნელობა, ჩვენ გადავწყვიტეთ საგანგებო მოხსენებით ბარათში გადმოგვეცა ყოფილი აფხაზეთის სამთავროსა და სამურზაყანოს თავად-აზნაურობის წოდებრივი და საადგილმამულო უფლებანი, რათა ნათელგვეყო აფხაზეთის მკვიდრთა ცხოვრების პირობები.

ძველთაგანვე აფხაზეთი ყოფილი საქართველოს სამეფოს ნაწილს შეადგენდა. ქართველ მეფეთა უკანასკნელი დინასტიაც – აფხაზური დინასტიაა. ბიჭვინთის უძველესი ტაძარიც რამდენიმე საუკუნის მანძილზე აფხაზთა და ქართველთა კათოლიკოსების საკათედრო ტაძარი იყო.. სულ უკანასკნელ დრომდე აფხაზეთში ჰყავდა დრანდის, მოქვისა და ბედიის საეპისკოპოსოები. ბედიის ტაძარი, აგებული აფხაზური დინასტიის პირველი ქართველი მეფის – ბაგრატის მიერ, თავის წიაღში იფარავს ამ ხელმწიფებრივი მაშენებლის ნეშტს. მოქვის ტაძარი კი აგებულია ქართველთა და აფხაზთა მეფის დავით აღმაშენებლის მიერ. აფხაზ ხალხსაც უკანასკნელ დრომდე საქართველოსთან, სამეგრელოსთან და იმერეთთან საერთო სარწმუნოება, ჩვეულებები თუ კანონები ჰქონდა. და თუკი ქრისტიანული სარწმუნოება აფხაზეთში მნიშვნელოვნად შესუსტდა მუსლიმური უღლისა და სხვადასხვა არეულობათა ზეგავლენით, მაინც მისი უჭველი კვალი შენარჩუნებულია აფხაზი ხალხის ცხოვრებაში, რომელიც, მართალია, ასრულებს ზოგიერთ მუსლიმურ თუ წარმართულ წეს-ჩვეულებას, მაგრამ, ამავე დროს, მას არასოდეს შეუწყვეტია მთავარი ქრისტიანული დღესასწაულების აღნიშვნა და ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის დღესაც ყველანი ერთმანეთს უძღვნიან კვერცხებს. აფხაზეთის მთავართა მთელი წყებიდანაც, რომელნიც გამოეყვნენ საქართველოს ამ უკანასკნელის საბატონოებად დაყოფის შემდეგ, მხოლოდ ორნი – ზურაბ-ბეი და მისი ძმისწული ქელეშ აჰმედ-ბეი აღიარებდნენ მუსლიმთა რელიგიას – პირველი იმიტომ, რომ სიჭაბუკეშივე წაიყვანეს თურქეთში, მეორე კი იმ მიზეზით, რომ თურქეთში დაიბადა და იქვე აღიზარდა. ყველა დანარჩენი მთავარი კი აფხაზეთისა ქრისტიანი იყო. ქართველ მეფეებს არასდროს არ გამოურიცხავთ აფხაზეთი დიდი ქართული ოჯახიდან და თავისი არსებობის მთელს მანძილზე – როგორც სამეფოს გაყოფამდე, ასევე შემდგომაც, უკანასკნელ დრომდე, იწოდებოდნენ მეფეებად ქართველთა, აფხაზთა, იმერთა და კახთა. როცა გასული საუკუნის დასაწყისში საქართველოს მეფემ ვახტანგ VI-მ კანონთა კრებულის შედგენა დაიწყო და ყოფილი საქართველოს სამეფოს ყველა პროვინციიდან წარმომადგენლებს იწვევდა ამ საქმეში თანადგომისათვის, მან აფხაზეთიდანაც მოიწვია დეპუტატები, სადაც უკანასკნელ დრომდე შენარჩუნებული იყო უძველესი ქართული ჩვეულებები. აფხაზეთი რომ საქართველოს ეკუთვნის, ამის დამადასტურებელ არანაკლებ მნიშვნელოვან საბუთად, გარდა ქრისტიანული ტაძრებისა და წეს-ჩვეულებებისა, გამოდგება სხვადასხვა საერო თუ სამხედრო ნაგებობათა ნანგრევებიც. ასე, მაგალითად, პსირასთას ხეობის ცნობილი ციხე-კოშკები, გადმოცემით, აგებულია საქართველოს დიდებული მეფის თამარის მიერ; კელასურის ქვიტკირის გალავანი აშენებულია ვამეხ დადიანის მიერ; ციხესიმაგრეები აშტუევაში, ოცარცასა და მრავალ სხვა სოფელში, თუმცა კი ცნობილი არ არის, ვისი აგებულია, მაგრამ ზედმიწევნით ჰგავს სამეგრელოში მდებარე ასეთივე ციხესიმაგრეებს. თქვენს ბრწყინვალებას ვთხოვთ იმასაც მიაქციოს ყურადღება, რომ ძველ დროშიც და ამჟამადაც საცხოვრებლები, შესამოსელი, საზრდო, მიწათმოქმედების იარაღები, სოფლის მეურნეობის გაძღოლის წესი სრულიად იგივე იყო და არის აფხაზეთში, რაც სამეგრელოშია. ადგილებსაც უმეტესწილად ქართული სახელწოდებანი აქვთ. მცხოვრებთა უდიდესი ნაწილიც თავის მეგრულ თუ ქართულ წარმომავლობას აღიარებს და ბევრს თავიანთი ქართული და მეგრული გვარებიც კი აქვს შენარჩუნებული. მხოლოდ ერთი რამ შეიძლება საბაბს გვაძლევდეს საქართველოდან გამოყოფილად მივიჩნევდეთ აფხაზეთს – აფხაზური ენა, მაგრამ მასშიც სანახევროდ მეგრულ და ქართულ სიტყვებს ვხვდებით, ხშირად ძალზე შეცვლილთაც, თუმცა არც ისე, რომ ძნელი იყოს მათი თავდაპირველი მეგრული თუ ქართული ძირის მოძიება. მაგალითად, „ათავად“ – ქართული „თავადია“, „აკამბაშ“ – „კამბეჩი“, „აძამ“ – „ჯამი“ და სხვა. მეორეს მხრივ, ენათა სხვაობა ბევრს არაფერს ნიშნავს, რადგან რუსეთშიც ბევრია არა-რუსულ ენაზე მოლაპარაკე ტომი, რომლებიც სავსებით ემორჩილებიან რუსულ კანონებს და უკვე დიდი ხანია რუსული წეს-ჩვეულებების მიხედვით ცხოვრობენ. საქართველოს სამეფოს საზღვრებშიც, ბორჩალოში, ქართველ მემამულეთ უკანასკნელ დრომდე ჰყავდათ ყმა-გლეხებად ყარაფაფახები – თათრული წარმოშობისა და მუსლიმური რელიგიის მაღიარებელი ადამიანები, რომელნიც თავიანთ ყოფა-ცხოვრებაში შარიათის კანონებით ხელმძღვანელობდნენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მთავრობამ საჭიროდ ჩათვალა მათ მიმართაც ის დადგენილებანი გამოეყენებინა, რასაც ქართველ ყმა-გლეხთა მიმართ იყენებდა. ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ აფხაზეთში როდისმე ოფიციალურად ყოფილიყოს შემოღებული ვახტანგ მეფის კანონები, მაგრამ ის კი უდავოა, რომ თვით ეს კანონები წარმოადგენენ მხოლოდ წერილობით სისტემატიზებულ ფორმას ჩვენი წეს-ჩვეულებებისა, რომლებიც საერთო გვაქვს ქართველებთან, მეგრელებთან, იმერლებთან თუ გურულებთან, და რომ ეს წერილობითი კანონები შედგენილ იქნა ვახტანგ მეფის უმაღლესი ხელმძღვანელობით საქართველოს სამეფოს ყველა დასახლებული მხარის დეპუტატთა მიერ, რომელთა შორის აფხაზეთის წარმომადგენლებიც იყვნენ. ყოველივე ზემოთქმულიდან თქვენი ბრწყინვალებისთვის ცხადი უნდა შეიქმნას, რომ აფხაზეთში შეუძლებელია სხვა სამოქალაქო წყობილება ყოფილიყო, განსხვავებული იმისგან, რაც ყოველთვის არსებობდა ქრისტიანული ამიერკავკასიის დანარჩენ ნაწილში. ამიტომაც ჩვენი წოდებრივი და საადგილმამულო უფლებები იგივე იყო, რაც საქართველოში, სამეგრელოში, იმერეთსა თუ გურიაში, სულ უმნიშვნელო თავისებურებებით, რომლებიც წარმოშობილი იყო ადგილობრივი, ოდენ ეკონომიური პირობებით და არ აღემატებოდა საქართველოს სხვა მხარეებს, მაგალითად, ქართლსა და იმერეთს შორის არსებულ განსხვავებებს. ეს განსხვავებანი მხოლოდ ზოგიერთ წვრილმან საკითხს შეიძლება ეხებოდეს და არამც და არამც არ არღვევს მთლიანობაში იმ სრულ მსგავსებას, რაც აფხაზეთს ჰქონდა ქართველ მეფეთა მფლობელობაში შემავალ ყველა სხვა მხარესთან.

როგორც ეს უკანასკნელ დრომდე სამეგრელოში იყო, აფხაზეთისა და სამურზაყანოს ყველა მცხოვრებიც წოდებრივი უფლებების მიხედვით შეიძლება დაიყოს თავადებად, აზნაურებად, გლეხებად და სამხედრო ტყვეებად (მოჯალაბეებად).

ქონებრივი უფლებების მიხედვით აფხაზები განიყოფიან მემამულეებად, გლეხებად და ტყვეებად. გარდა ამისა, აფხაზეთში არსებობს (არა როგორც ცალკე წოდება) საკმაოდ მრავალრიცხოვანი კლასიც ასასებისა, ანუ სხვადასხვა წოდების პირთა, რომელნიც სტუმრებივით ცხოვრობენ სხვათა სამამულო მიწებზე. ასეთ პირთ საქართველოსა და სამეგრელოში ხიზნებს უწოდებენ. აი, ასეთია აფხაზეთის ყველა მცხოვრებთა უფლებები და მდგომარეობა.

გაგრძელება იქნება.

## უახლოეს დღეებში მოხდება საქართველოსა და საბერძნეთს შორის თანამშრომლობის ხელშეკრულების პარაფირება

9 აპრილს თბილისს ეწვევა საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრი თეოდოროს პანგალოსი. 10 აპრილს სტუმარი შეხვდება თავის ქართველ კოლეგას ირაკლი მენაღარიშვილს. ვიზიტის დროს ხელი მოეწერება ხელშეკრულებას საავტომობილო, საჰაერო და საზღვაო ტრანსპორტის, ტურიზმისა და საბაჟო სფეროებში თანამშრომლობის შესახებ. დაგეგმილია შეხვედრები საქართველოს პრეზიდენტთან, პარლამენტის თავმჯდომარესთან და სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქთან. (ბი ჯი აი)

## ეროვნული სტადიონის რეკონსტრუქცია უახლოეს ხანებში დაიწყება

საქართველოს პრეზიდენტმა ე.შევარდნაძემ მიიღო ინდუსტრიული ჯგუფის „ფინიერო კონსულტინგის“ პრეზიდენტი ჯორჯო მიზერენდინო და ფირმა „ვინელის“ მეპატრონე მასიმო ვინელი. იტალიელმა ბიზნესმენებმა საქართველოს პრეზიდენტს გააცნეს „უეფა“-სთან შეთანხმებით შემუშავებული სტადიონის რეკონსტრუქციის პროექტის მნიშვნელოვანი ასპექტები. განახლება-მოდერნიზაციის გეგმა ითვალისწინებს, როგორც დასაჯდომი ადგილების შეცვლას, ისე განათების სრულყოფას და სტადიონის საერთო ინფრასტრუქტურის მოყვანას საერთაშორისო სტანდარტების დონეზე. ჯ.მიზერენდინოს განცხადებით, სტადიონისათვის პლასტიკური სკამების დამზადება საქართველოში განხორციელდება, რისთვისაც მისი კომპანია აქ აპირებს შესაბამისი წარმოების დანერგვას. სპორტული კომპლექსის მოდერნიზაციის შემდეგ, საქართველოში იმუშავებს იტალიელ სპეციალისტთა ჯგუფი, რომელიც მეთვალყურეობას გაუწევს მის ნორმალურ ფუნქციონირებას. (იფრინდა)

## ცხინვალის რეგიონში აღდგენილი საცხოვრებელი სახლები მფლობელებს გადაეცათ

6 აპრილს, ცხინვალის რაიონის სოფელ ფრისში 25 აღდგენილი სახლი გადაეცა თავის მფლობელს. დანარჩენი სახლების აღსადგენად საქართველოს ბიუჯეტმა 1 მილიონი ლარი გამოყო. აღნიშნული თანხა არ კმარა სამშენებლო სამუშაოების სრულად ჩასატარებლად, მაგრამ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო დანარჩენი თანხის მიღების იმედებს გრანტებზე ამყარებს. (ბი ჯი აი)

# იყიდეთ, იყიდეთ, იყიდეთ რამე...

## ბინები

იყიდება ან იცვლება ვაკეში, თამარაშვილის ქ.№11 მე–10 სართული, 5 ოთახიანი ბინა, ზომიერი რემონტით და დიდი გარაჟით. ფასი 60000 ლარი. ტელ. 23–26–83

იყიდება 44 კვმ. ფართის ოთახნახევრიანი ბინა, თავისი სათავსოებით ჭოველიძის (ყოფილი ბელინსკის) ქუჩაზე. I სართული. მანქანის სადგომით, ტელეფონით. ფასი შეთანხმებით ტელ. 98–95–20

იყიდება 2 ოთახიანი ბინა ბარნოვზე ლოჯით, ბუხრით, სარდაფით, მანქანის დასაყენებელი ადგილით 5/2 სართ. საწყისი ფასი 36000 დოლარი. ტელ. 22–27–76

იყიდება 2 ოთახიანი, ნახევრადგარემონტებული, ლეოვის ექსპერიმენტული ბინა, II სართული. ფასი 7000 დოლარი. მისამართი: დიდი დიღომი, III მ/რ, კორპ. 16, ბ.7

იყიდება მშენებლობადაუმთავრებელ სახლში 80 კვმ ფართი, მე–16 სართულზე ტელ. 23–07–11 თათია

იყიდება ორსართულიანი სახლი მანსარდით. სახლს აქვს 300 კვმ ფართობის ეზო, მრავალნაირი ხეხილით, გარაჟი. დამხმარე სათავსოები, ავტონომიური გათბობა, ცხელი წყალი და ტელეფონი. მისამართი: მღვრის ქ.№24 (ნაძალადევის რ–ნის სამხედრო კომისარიატის უკან). ტელ. 66–99–46 ქეთინო (საღამოს საათებში): საწყისი ფასი 24000$

სასწრაფოდ იყიდება სამოთახიანი არატიპიური კუთხის ბინა დიდი ლოჯით (28 კვმ) მაღალ ბელეტაჟზე. ნუცუბიძის ქუჩის დასაწყისში. საერთო ფართი 90 კვმ ჭერის სიმაღლე 3 მ. რკინის კარებით. ტელეფონით, სარდაფით, ავტოფარეხით. ფასი 33000 დოლარი. ტელ. 39–36–62

იყიდება კერძო კაპიტალური სახლი მეტრო „სამასი არაგველის“ გვერდით, 4 ოთახიანი, ყველა სათავსოთი. საერთო ფართი 130 კვმ გარემონტებული. აქვს ორი სარდაფი, ტელეფონი. ეზო პატარაა, ფასი 37000 დოლარი. ტელ. 74–50–97

იყიდება სამოთახიანი იზოლირებული ბინა ორსართულიანი სახლის II სართულზე, ოთახების ფართი 62 კვმ, ტელეფონით, აივნით, მაღალი ჭერით. მანქანის სადგომით. ფასი 25000$ ტელ. 34–30–71

იყიდება მიწის ნაკვეთი საბურთალოზე, საირმის გორაზე. ფასი შეთანხმებით. ტელ. 38–36–47

იყიდება სახლი ბელეტაჟზე, კაპიტალური, სამი ოთახით, სამზარეულოთი, ლოჯით. ლანჩხუთში, საწყისი ფასი 5000 დოლარი. ტელ. 34–19–53; 61–27–30

იყიდება 3 ოთახიანი ბინა, დიღუბეში, ელიავას 34, კ3 III სად. III სართული. საწყისი ფასი 40000 ლარი. ტელ. 34–19–53

იყიდება აგარაკი მუხათწყაროში, 2 სართულიანი კაპიტალური სახლი მანსარდით და ბუხრით, ყველანაირი სათავსოთი, 5 ტონიანი ავზით, 700 კვმ ნაკვეთით. მსხმოიარე ხეხილით და ტალავერით. შემოღობილია კაპიტალურად. საწყისი ფასი 10000 ლარი ტელ. 30-31-13 ნანა

იყიდება სოფ.-უჯარმასთან (ტბასთან ახლოს) აგარაკი, 2 სართულიანი კაპიტალური სახლი 10X8, გარშემო დახურული აივნით, ავეჯით და სამშენებლო მასალით. 1000 კვმ ყველანაირი მსხმოიარე ხეხილით, დიდი ტალავერით, 7 ტონიანი ავზით. წყალი და შუქი მუდმივად. საწყისი ფასი 8000 ლარი. ტელ. 30-12-41; 30-23-18 მზია

იყიდება 5 ოთახიანი მშენებარე ბინა, ორი აბაზანა-ტუალეტით, დამხმარე სათავსოებით, დიდი აივნებით. ფართი 170 კვმ, VIII სართული (უკვე აშენებული). სახლი 10 სართულიანი, ერთ წელიწადში დაიხურება. ფასი შეთანხმებით. მის. ზაქარიაძის ქ.№8 (მეტრო „გოცირიძესთან“) ტელ. 38–96–17

იყიდება იზოლირებული კეთილმოწყობილი ერთსართულიანი სახლი ზესტაფონში ოთხი ოთახით, აქვს სარდაფი, მარანი, სასიმინდე, ვენახი. ფასი 8500 ლარი მის. ზესტაფონი, ზედასაქარა, ტელ. ზესტაფონში 5-53-53; თბილისი 96-24-14

იყიდება ბათუმში 4 ოთახიანი, მაღალჭერიანი, კეთილმოწყობილი, არასტანდარტული ბინა. მისამართი: მემედ აბაშიძის გამზირი №5, ბინა 7. ფასი შეთანხმებით. იკითხეთ კოკა საყვარელიძე. ტელ. ბათუმში 7-34-62; თბილისში 96-24-14

იყიდება 2 ოთახიანი არასტანდარტული ბინა დიღუბეში. 2 ოთახი კაპიტალური მიშენებით. საერთო ფართი 120 კვმ, 6 სართულიანის II სართულზე. ჭერის სიმაღლე 3.25, სარდაფით, მანქანის სადგომით. მუდმივი დენით და ტელეფონით. ცხელი წყლით. საწყისი ფასი 40000 დოლარი. ტელ. 34-05-36

## ავტომანქანა

ვყიდი ავტომანქანა „ჰუნდა სონატა“ 1989 წლის გამოშვება. ფასი 4500 დოლარი. ტელ. 38–15–02

## სხვადასხვა

იყიდება პიანინო „პეტროფი“, 2 პედლიანი, მუქი ყავისფერი. ფასი 1000 დოლარი. ტელ. 38–15–02

მოვუვლით მარტოხელა მოხუცებულს, თუ იგი ისურვებს ჩვენს ჩაწერას და ბინის მემკვიდრეობით დატოვებას. ტელ. 31–33–27 ნუნუ და ნოდარი

იყიდება თეთრი კობალტის 6 კაციანი სერვიზი, ოქრომოვლებული. ფასი 500 დოლარი. ტელ. 66–06–96.

### მხოლოდ ბოზონებისა და ქალბატონებისათვის!

თუ გიჭირთ ადამიანებთან ურთიერთობა ფსიქოლოგი გაგიწევთ კონსულტაციებს ტელეფონით და პირადად. დარეკეთ 29–26–84 საღამოს

იყიდება გერმანული პიანინო „როინიში“ ფასი 670 დოლარი. ტელ. 38–35–59

იყიდება იუგოსლავიური ჭაღი, ხის პირი ჯაჭვებზე დიდი მოყვითალო პლაფონებით. მასაჟორი „ტონუსი“, პოლონური კედელი ორი სერვანდით, ბარით, უჯრებით. ნათალი ჭიქები, ლუდის ბაკლები, ლურსმანი – ფასები შეთანხმებით. ტელ. 38–35–59

## ქირავდება

ვაქირავებ 20 კვმ ფართის ახლადგარემონტებულ ოთახს სამზარეულოთი, ქალაქის ცენტრში, დავით აღმაშენებლის გამზირზე. მაღაზიისათვის ან ოფისისათვის. თვეში 500 დოლარი. ტელ. 38–15–02

## ვცვლი

ვცვლი არატიპიურ 2 ოთახიან ბინას ბახტრიონის ქუჩაზე. II სართული. საერთო ფართი – 80 კვმ 1,5 ბინაზე საბურთალოს ცენტრში. ბინა გარემონტებულია. შესაძლებელია გაყიდვა. ტელ. 38–35–34

ვცვლი აგარაკს ნორიოდან თბილისში ერთოთახიან ბინაზე. ტელ. 22–27–76

## ვასწავლი

შევასწავლი გიტარაზე დაკვრას ნებისმიერი ასაკის მსურველებს. ფასი შეთანხმებით. ტელ. 64–76–77 მაიკო

ვასწავლი ასაკის განურჩევლად ქართულ და უცხოურ სიმღერებს, ასევე კლასიკურ მუსიკას ნოტებით ფორტეპიანოზე. ფასი 20 ლარი. ტელ. 51–88–06 თინიკო


ელიტარული კოსმეტიკა და სა[illegible] ფრანგული წარმოების დაუვიწყარი სურნელების სუნამოები ელიტარული საზოგადოებისათვის. (ნელსაცხებლები: ნიღაბი, ღამის, დღის, ნაოჭების). ტელ. 92–05–39; 94–10–09 მანანა

ჩვენ გვაქვს თქვენთვის ღირსეული სამსახური
შეიძლება თქვენ გაგიგიათ, მაგრამ არასოდეს გისინჯიათ. იქნებ ეს თქვენი შანსია?! დაგვირეკეთ, ადგილები შეზღუდულია: 92-05-39; 94-10-09

ჯადოსნური დიეტა!
თქვენ შეგიძლიათ გახდეთ ან მოიმატოთ წონაში, გაიჯანსაღოთ ორგანიზმი და დახარჯოთ დღეში 3 ლარი. დაგვირეკეთ: 92–05–39; 94–10–09

კომპიუტერული ცენტრი, რომელიც დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით და აღჭურვილია ძლიერი ტექნიკით, გთავაზობთ ჟურნალ-გაზეთების, წიგნების, ნებისმიერი სახის საქმიანი ქაღალდებისა და სხვა სახის ბეჭდვითი პროდუქციის უმოკლეს ვადებში მომზადებას (აწყობა-დაკაბადონება ნებისმიერ ენაზე). გვაქვს ავტონომიური დენის წყარო. მობრძანდით მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით.
მის: პუშკინის ქუჩა №5 მეორე სართ, ოთახი 207
ტელ: 93-19-99 (10-დან 19 საათამდე) ვმუშაობთ ყოველდღე.

კომპიუტერზე მუშაობის შესწავლის მსურველთა საყურადღებოდ!



განათლების სამინისტროს თბილისის ინფორმატიკის სასწავლო ცენტრი «შზიური» გიწვევთ პერსონალური კომპიუტერის შემსწავლელ კურსებზე
თქვენ შეისწავლით MS Office პაკეტის გამოყენებას თანამედროვე ოფისში
- თანამედროვე პერსონალური კომპიუტერები და კვალიფიციური პედაგოგები
- საერთაშორისო სტანდარტის სასწავლო პროგრამები და მეთოდიკა
- ინტერნეტის საუკეთესო სერვისი World Wide Web
- სერთიფიკატი, რომელიც გზას გაგიხსნით პრესტიჟული სამსახურისაკენ

მისამართი: ი.ჭავჭავაძის I ჩიხი, №37 („მზიურის“ ტერიტორიაზე, ჩოგბურთის კორტებთან)
☎ 29-48-61, 23-53-17, 29-48-60 ფაქსი: 29-49-61

ვაქვეყნებთ უფასო განცხადებებს დაგვირეკეთ ყოველდღე: 93–18–41


# ჰოროსკოპი

## 8–12 აპრილი

ვერძი – სამშაბათს თქვენი უგუნებობის ბოლო დღეა, თავს უკეთ იგრძნობთ, მაგრამ სანამ 11–12 აპრილს სამუშაოს ჩაუღრმავდებოდეთ, წინა ორი დღე დაისვენეთ და შემდეგ ოჯახურ საქმეებს მიხედეთ.

კურო – მძიმე კვირას თქვენი უხასიათობით იქმნით, ავადაც კი გრძნობთ თავს, რადგან წინასწარ იცით, 12 აპრილს სერიოზული საუბარი გელით. ამიტომ ეცადეთ შეეგუოთ გარდაუვალ შეხვედრას და დაისვენოთ.

ტყუპები – 8–9 აპრილს საუკეთესო საშუალება გაქვთ ცოტა ხნით შეისვენოთ და გაანალიზოთ წარსული, ასევე დაგეგმოთ მომავალი, რადგან წინ შემოქმედებითი აღმაფრენა და სიყვარული ერთად გელით.

კიბო – შეუძლოდ ყოფნის შემდეგ მაინც მოგიწევთ ინტენსიური შრომა მთელი კვირის განმავლობაში.

ლომი – კვირის პირველ ნახევარში თვითანალიზის შემდეგ თქვენი შრომისუნარიანობა მაღლდება, რაც სიხარულს მოგანიჭებთ.

ქალწული – თქვენი ცხოვრების მთელი კვირა დაეთმობა სასარგებლო–საქმიან შეხვედრებს, რომელიც მომავალში სიკეთეს მოგიტანთ.

სასწორი – ცუდ ხასიათზე ხართ? გაისეირნეთ ქუჩაში – გაზაფხულდა! თუ არ გიშველით, ქალაქგარეთ გადით და აქტიურ დასვენებას მისდიეთ, რადგან კვირის ბოლო ორი დღე შემოქმედებით აღმაფრენას და შემდგომ წარმატებას მოგანიჭებთ.

მორიელი – თავი დაანებეთ წუწუნს ჯანმრთელობაზე; თქვენი ცუდი ხასიათი ყველას აწუხებს და ავადმყოფობაც უფრო მეტად გბოჭავთ. გადით ქუჩაში, გაიარ–გამოიარეთ, სახლში დაბრუნებისთანავე დალიეთ ცხელი ჩაი და ეცადეთ დაიძინოთ.

მშვილდოსანი – ოჯახურ საქმეებს მიხედეთ, მაგრამ ნუ გადაყვებით, რადგან მომავალ დღეებში ჯანმრთელობაზე ზრუნვა მოგიწევთ. დეპრესია არასოდეს არაა გამოსავალი; მიმართეთ ექიმს, თვითმკურნალობა მდგომარეობას გაგიუარესებთ.

თხის რქა – სამშაბათს ჯანმრთელობას გაუფრთხილდით, რადგან კვირის ბოლოს საქმიანი და სასარგებლო საუბარი გელით, რომელმაც შეიძლება ჯანმრთელობაც შეგირყიოთ და ცუდ ხასიათზეც დაგაყენოთ.

მერწყული – ჭეშმარიტების ძიებისა და თვითანალიზის შემდეგ, რატომღაც მიწას დაუბრუნდებით და უცებ შეგიყვარდებათ...

თევზები – წინ სამი დატვირთული დღე გელით. საქმიანი და სასარგებლო საუბრები ცუდ ხასიათზე დაგაყენებთ. კვირის ბოლოს კი აუცილებლად დაისვენეთ.

# საქართველოში ყველაზე მცირერიცხოვანი ქართული გვარები

*ფრჩხილებში მითითებულია ის სამი პუნქტი, სადაც ძირითადად ცხოვრობენ აღნიშნული გვარის წარმომადგენლები*

## ლ

ლაგაძე – 46 (ვანი – 23; სამტრედია – 8; რუსთავი – 5);

ლაზარეიშვილი – 47 (ბოლნისი – 22; თბილისი – 12; რუსთავი – 5);

ლაზიაშვილი – 46 (თბილისი – 20; თეთრიწყარო – 15; გარდაბანი – 3);

ლაზრიშვილი – 45 (თბილისი – 30; დუშეთი – 4; მცხეთა – 11);

ლალაზაშვილი – 46 (თბილისი – 27; თეთრიწყარო – 11; გარდაბანი – 1);

ლალებაშვილი – 33 (თბილისი –17; გორი – 13; რუსთავი – 3);

ლამაზაშვილი – 47 (თბილისი – 14; რუსთავი – 8; დედოფლისწყარო – 7);

ლაოშვილი – 34 (თბილისი + 15; გორი – 6; ბოლნისი – 2);

ლარიაშვილი– 46 (თბილისი – 45; ყვარელი – 1);

ლასურიძე – 46 (ოზურგეთი – 11; ქობულეთი – 9; ხელვაჩაური – 9);

ლატაური – 42 (თიანეთი – 26; დუშეთი – 4; თბილისი – 3);

ლაფაჩიძე – 33 (თბილისი – 26; გორი – 3; რუსთავი – 4);

ლაფიაშვილი – 20 (რუსთავი – 11; თბილისი – 5; ადიგენი – 1);

ლაღუნდარიძე – 36 (ზესტაფონი – 18; ჭიათურა – 11; თბილისი – 6);

ლაშქარაძე – 36 (თბილისი – 24; თერჯოლა – 12);

ლაშხირიძე – 27 (გარდაბანი – 18; თბილისი – 9);

ლაშხიძე – 37 (გარდაბანი – 22; თბილისი – 6; რუსთავი – 4);

ლაცოშვილი – 34 (თბილისი – 23; დუშეთი – 7; თელავი – 3);

ლაჭყრიშვილი – 22 (თბილისი – 17; ქარელი – 5);

ლევიაშვილი – 30 (თბილისი – 21; გორი – 6; მოსკოვის ლტოლვილი – 1);

ლევიშვილი – 23 (რუსთავი – 12; ახალციხე – 7; თბილისი – 2);

ლეთანძე – 29 (ზუგდიდი – 28; წალენჯიხა – 1);

ლეიაშვილი – 35 (თბილისი – 22; გურჯაანი – 10; მცხეთა – 1);

ლეკაიძე – 33 (ახმეტა – 25; თბილისი – 7; თელავი – 1);

ლეკვეიშვილი – 23 (თიანეთი – 6; თბილისი – 2; ზესტაფონი – 1);

ლეშკაშვილი – 49 (თბილისი – 13; ქუთაისი – 2; ზუგდიდი – 1);

ლილაური – 31 (ახმეტა – 19; თბილისი – 5; თელავი – 5);

ლიფარეიშვილი – 26 (აბაშა – 9; თბილისი – 9; ფოთი – 6);

ლიფარიშვილი – 43 (აბაშა – 33; ჩოხატაური – 3; თბილისი – 1);

ლობიაძე – 39 (თერჯოლა – 23; ოზურგეთი – 6; სამტრედია – 3);

ლოთიაშვილი – 22 (გორი – 11; თბილისი – 2; კასპი – 2);

ლოლუაშვილი – 39 (მცხეთა – 14; თბილისი – 4; ზუგდიდი – 3);

ლონდარიშვილი – 32 (ბოლნისი – 2; თბილისი – 30);

ლონდრიძე – 26 (ბორჯომი – 12; ახალციხე – 2; თბილისი – 12);

ლურჯიძე – 22 (თბილისი – 9; გურჯაანი – 6; თელავი – 1);

ლუცუბიძე – 26 (თბილისი – 5; თელავი – 2; საგარეჯო – 19);

ლუცუფიძე – 47 (გურჯაანი – 1; თელავი – 46).

# იუმორის კუთხე

## გურანდა გაბუნია:

# რაფიკას ოინები

მახსოვს, სანკულტურის თეატრში ვთამაშობდი საბჭოთა კავშირის გმირს თინა იოსებიძეს. რეჟისორს, ნუგზარ გაჩავას საკმაოდ ორიგინალურად ჰქონდა მოფიქრებული ბრძოლის სცენა. როგორც კი ვინმე „მოკვდებოდა“, შუქი ჩაქრებოდა, მსახიობი ამ დროს კულისებისკენ გაიქცეოდა. აინთებოდა შუქი, ისევ ბრძოლის ეპიზოდები... ისევ მოკვდებოდა ვიღაც, ჩაბნელდებოდა კვლავ სცენა, მსახიობი ამ დროს გაიქცეოდა კულისებში და ასე, ერთი სიტყვით, პანტა-პუნტით კვდებოდნენ და მერე სიბნელეში გარბოდნენ „მკვდარი“ მსახიობები.

ერთ დღეს მივედით სპექტაკლზე. გაირკვა, რომ არ არის გამნათებელი, ჩავვარდით საფიქრალში, რა გვეშველება, სპექტაკლი გვივარდება, არა და სად იშოვი ათ წუთში ახალ გამნათებელს?

ამ დროს მხსნელად მოგვევლინა რაფიკა. რეჟისორმა აუხსნა, რაც უნდა გაეკეთებინა. რაფიკამაც დაგვამშვიდა, ამის გაკეთება ჩემთვის უბრალო რამეაო და დავიწყეთ სპექტაკლი. სოსო გოგიჩაიშვილი თამაშობდა ჩემს შეყვარებულს, პირველს სწორედ მას კლავდნენ. გაისმა დარბაზში „ბახ“, სოსო „მოკლეს“, ის ჩაიკეცა და სცენაც დაბნელდა, მაგრამ „მკვდარმა“ ხომ უნდა მოასწროს სცენიდან გასვლა? ის-ის იყო სოსო კულისებისკენ დაიძრა, რომ შუქი აინთო და სოსო დაწვა, მე მივვარდი, ჩავეხუტე, ვაიმე კვდება–მეთქი. ამ დროს რაფიკამ ჩააქრო შუქი, სოსომ დრო იხელთა და ისევ წავიდა კულისებისაკენ. ნახევარი ტანით სცენაზე იყო, ნახევარით კულისებში, რომ ისევ აინთო სინათლე და ისევ წაიქცა სოსო. ახლა მე „ვივაჟკაცე“ და როგორც კი დაბნელდა, ჩემს „შეყვარებულს“ ხელი ვკარი, ცოტა ფეხიც მივახმარე და სოსო კულისებში „შევტენე“.

ეს თურმე ტანჯვის დასაწყისი იყო. ბრძოლის სცენებში მარტო მე ვთამაშობდი ქალი, დანარჩენი სულ მამაკაცები იყვნენ. როგორც კი ეს „მოკლულები“ სცენიდან გასვლას დააპირებდნენ, სწორედ იმ მომენტში ანთებდა რაფიკა შუქს. როგორ ახერხებდა დამიზნებას, ჩემთვის გაუგებარი იყო. „მკვდრების“ გადაზიდვა კულისებისაკენ მე დამეკისრა. ხან ერთს მივათრევდი სიბნელეში, ხან მეორეს, არადა საშინლად დავიღალე, მკლავები მეტკინა, ბიჭებს ვეხვეწები, ვითომ დაჭრილები ხართ და თქვენ თვითონ გაფორთხდით კულისებისაკენ, თან ვწუწუნებ, ადით და უთხარით რაფიკას, რომ არასწორად აქრობს და ანთებს სინათლეს-მეთქი, მაგრამ ვინ მისმენს? ბოლოს ხელში „ჩამაკვდა“ ნოდარ მგალობლიშვილი. იმასაც შევეხვეწე ადი, რაფიკას უთხარი, შუქის ამბავი-თქო, ნოდარმა კი უარი მტკიცა, აბა როგორ ავალ, მე ხომ მკვდარი ვარო.

იმ დღეს რაფიკამ ითამაშა ჩვენს ნერვებზე, როგორც უნდოდა, ისე აქრობდა და ანთებდა შუქს. მე საერთოდ არ ვიცი, რა არის სცენაზე დაღლა, მაგრამ იმ დღეს ისე დავიღალე, რომ აღარაფრის თავი არ მქონდა, ვიდექი ფეხზე და ვქანაობდი.

ბოლო სცენა კი კულმინაცია იყო. მაშინ სპექტაკლი ვალიკო გაბისიანს მიჰყავდა, ის აკეთებდა სროლის იმიტაციასაც და ჩაქუჩს ურტყამდა პისტონებს (ახლა სტარტოვკით ისვრიან და შეიძლება მართლა მოგკლან). შუქის უბედურებას მეორე უბედურებაც დაემატა, პისტონები სველი აღმოჩნდა. ვალიკო გამეტებით ურტყამს ჩაქუჩს, მაგრამ რად გინდა? არანაირი ხმა არ ისმის. ამ დროს ბოლო სცენაა სათამაშო და მეც უნდა „მოვკვდე“. ვატრიალებ სამ წინადადებას წაღმა-უკუღმა იმის მოლოდინში, რომ ვალიკომ ისროლოს და მეც „მოვკვდე“, მაგრამ სროლა არ ისმის. არადა მე თვითონ ხომ არ გავახმოვანებ? როგორია, თქვა ხმამაღლა „ბახ“ და ჩაიკეცო? საბავშვო თეატრი ხომ არ არის? მოკლედ, ტექსტი აღარა მაქვს, პიესა მთავრდება, მე უნდა მოვკვდე, მაგრამ ვერ ვკვდები... ვალიკომ მოაგროვა ხელახლა ეს პისტონები, დაარტყა ჩაქუჩი და ისეთი ცეცხლი გამოვარდა სცენაზე, რომ აფეთქების ტალღამ გადამაგდო კულისებში. მუხლები დავიმტვრიე, ხელი ვიტკინე, კინაღამ მართლა მოვკვდი, მაგრამ რაც მთავარია, ეს ცეცხლი იმდენად შთამბეჭდავი იყო და ისეთი ეფექტური გამოვიდა ბოლო სცენა, რომ მაყურებლებიც და მსახიობებიც აღფრთოვანებულები იყვნენ.

სცენაზე გამოვედი ბოლოს დამსხვრეული, დამტვრეული, მუხლებიდან თქრიალით მომდიოდა სისხლი, მე კი ვუკრავდი თავს მაყურებელს და ვიღიმებოდი. სახლში ძლივს წამიყვანეს, რადგან განძრევის თავიც აღარ მქონდა.

კულისებში კი ერთმანეთს ასკდებოდნენ სიცილით მსახიობები, რაფიკამ გენიალურად გაამართლა და სამუდამოდ დავიტოვეთ თეატრში.

## ქართველ კომუნისტებს ლუკაშენკოს ინტეგრაციული ძალის სჯერათ

საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია მიესალმება ბელორუსიის შეერთებას რუსეთთან. ამასთან დაკავშირებით სეკპ-ს ხელმძღვანელობამ დეპეშა გაუგზავნა ბელორუსიის პრეზიდენტს ალექსანდრე ლუკაშენკოს. მასში გამოთქმულია რწმენა, რომ სსრკ-ს ყოფილი რესპუბლიკები, ახლა უკვე დსთ-ს ქვეყნები, შეერთდებიან და ახალი ინტეგრაციის საფუძველზე შექმნიან ახალ მძლავრ სახელმწიფოს (ბი ჯი აი)

## სტალინის იდეური მემკვიდრეები მთელ საქართველოში მრავლდებიან

შესაძლოა საქართველოს ყველა ქალაქსა და რაიონში გაიხსნას სტალინის იდეურ მემკვიდრეთა საზოგადოების რეგიონალური განყოფილებები. სწორედ ამ მიზნით, სტალინის იდეურ მემკვიდრეთა საზოგადოების ხელმძღვანელი ევგენი ჯუღაშვილი ქვეყნის რაიონებში დამფუძნებელ კრებებს ატარებს. მისი თქმით, ორგანიზაციაში ერთიანდებიან საქართველოს სხვადასხვა პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლები და მიმდინარე წლის ბოლომდე მათი რაოდენობა 500 ათას ადამიანს შეადგენს. (ბი ჯი აი)

# შაყირვორდი



**თარაზულად:** 4. კაცის ყველაზე ტკბილი სახელი; 6. მცენარე, რომელიც „ლიას და ანას“ ეხვევა; 8. „კანიანი“ კაციჭამია; 9. „შეწყვეტილი“ რეტროსპექტივა; 11. დილით შესაჭმელი „საპახმელიო“ წვნიანი; 12. „ტორებიანი“ ტირანი; 14. „ინდური“ მდინარე; 15. აბესალომის ტილიანი ცოლი; 18. რიცხვი, რომელსაც „რაჭაში“ მისვლამდე ერთი მილი აკლია; 19. საქართველოს „სარფიანი“ საბაჟო; 20. „გაუმაზავი“ ხევი მცხეთაში; 23. „ორი დალის“ წამება შუა საუკუნეებში; 24. იტალიელი ფეხბურთელის „ნესვივით“ სახელი (რუს.კავშ.); 27. „ლადას“ მარკის ლიტერატურული ჟანრი; 28. ადამიანის „ამოსაჩრელი“ ნაწილი; 32. ის, რაც უხეიროს აკლია; 33. „თარზე“ დამკვრელი ნადირი; 36. ჯარიდან გაქცეული „ბაზარი“ თბილისში; 37. წინ გადმოგდებული მუცელი; 38. არარსებული ქალაქი.

**შვეულად:** 1. კბილების სახეხი ლორის „ბალანი“; 2. „მიხას“ საყვარელი ყვავილი; 3. ფანჯარაში ჩასასმელი „ქალი“; 4. „შარიანი“ ისლამური ათი კოდექსი; 5. „ბორბლებიანი“ ქარი; 6. მიწის სათხრელი „მხეცი“; 7. კათოლიკური ეკლესიის წინამძღვარი, რომელსაც ორ „ბატს“ ვერ ჩააბარებ; 8. ვირის ფასი ერევანში; 10. „სინზე“ დადებული კინო (ფრ.კავშ.); 11. მორიდებულობა, რომელიც „ხათაბალაა“; 12. სპარსეთის „ოსი“ მბრძანებელი; 13. „ჟივულის“ ქალაქი; 16. ავტომატური „პიანინო“; 17. თავსავარცხელა ფრინველი; 21. „გორელი“ მაიმუნი; 22. ამირანის „სავსე მთვარის“ მსგავსი ძმა; 25. სათადარიგო „ქაფი“; 26. უდაბნოს „ეშელონი“; 29. ის, რასაც მეგრელები საპატიო სტუმარს, ხოლო კახელები ბატის ჭუკებს აჭმევენ; 30. „სახეირო“ გრძელი ჯოხი; 31. ხაშის აუცილებელი „ატრიბუტი“; 34. „თვითმფრინავის მარკის“ ქართველი მწერალი; 35. წამლის შესაშხეფებელი „ქალაქი“.

აკაკი ცოტაძე

## წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯვარედი „საქართველო“-ს პასუხები

ჰორიზონტალურად: 7. თაბორი; 8. რუსეთი; 9. წათე; 12. ორბი; 14. აბანო; 15. ამირა; 16. ალაბი; 17. კაკულია; 19. ბორბალი; 21. მარაბდა; 23. წიფელი; 24. ვარძია; 28. ამირანი; 29. სვიმონი; 30. აბაშელი; 33. ბასკი; 34. გოჩია; 36. თერგი; 37. ბაია; 39. გაგი; 40. დანინა; 41. გუდანი.

ვერტიკალურად: 1. შეთე; 2. ქარხანა; 3. ქლუხორი; 4. ვაიო; 5. აბაღა; 6. პეტრა; 10. თამარი; 11. ღამურა; 13. რაბობი; 17. კოთელია; 18. ამბროსი; 20. აჯიღა; 22. რუისი; 25. ფირალი; 26. ლაშარი; 27. ლომისა; 31. ბეთანია; 32. ლაითური; 34. ისანი; 35. გუდაუთა; 38. ადლი; 39. გივი.

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447
ფასი 50 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444